პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 44 (12860) | პარასკევი, 21 თებერვალი, 1964 წ | ფასი 2 კაპ.

ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივი განცხადება

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვეთით 1964 წლის 16-დან 21 თებერვლამდე საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

საბჭოთა კავშირში დელეგაციის ყოფნის დროს გაიმართა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები, ბულგარეთის მხრივ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი და სხვა ბულგარელი ამხანაგები.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივ განცხადებაში, მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაიცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ორივე ქვეყანაში და ჯზრები გაუზიარეს ერთმანეთს ბევრ საკითხზე, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველაზე დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. ამ აზრთა გაზიარებამ კვლავ დაადასტურა, რომ ორივე ქვეყნის პარტიებსა და მთავრობებს საკმაოდ ერთნაირი შეხედულებანი აქვთ ყველა განხილულ საკითხზე.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, წარმატებით ვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით დაწვრილებით გააცნო ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, შრომითი მოღვაწეები საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1963 წ.) პლენუმზე დასახული ღონისძიებებს: ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესისათვის ქიმიის მიღწევათა ფართოდ გამოყენების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ.

ამხანაგმა ტოდორ ჟივკოვმა ილაპარაკა ბულგარეთის მშრომელთა წარმატებებზე, სოციალისტური მშენებლობის იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ დასახა, და თქვა, რომ მთელმა ბულგარელმა ხალხმა თავდადებული შრომით, თავისი მებრძოლი ავანგარდის—ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ამ წარმატებებს. ახლა ბულგარეთში საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ბულგარელი ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, რომელიც წელს სრულდება — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს.

შემდეგ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ მომძე ბულგარელი ხალხის დიდი წარმატებები, რომელმაც ძირეული რევოლუციური გარდაქმნები განახორციელა და მოკლე ისტორიულ ვადაში თავის ქვეყანა გადაიქცია სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც თანამედროვე მრეწველობა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვს. ამ საფუძველზე განუხრელად მაღლდება ბულგარელი მშრომელების მატერიალური და კულტურული დონე, სწრაფად ვითარდება მეცნიერება, განათლება და კულტურა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ თანამშრომლობას და განიხილეს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი სავსებით ინდენტურად აფასებენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და დაადასტურეს, რომ მზად არიან განაგრძონ თანამიმდევრული ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის და გამანადგურებელი თერმოატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სავსებით უჭერს მხარს სსრ კავშირის ახალ მშვიდობიან ინიციატივას — საბჭოთა მთავრობის წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულებისა ან შეთანხმების დადების შესახებ, რომლის თანახმად სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ძალას ტერიტორიული დავისა და საზღვრების საკითხების გადაჭრის დროს.

ორივე მხარე იმის მომხრეა, რომ გერმანიის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს და ამ საფუძველზე ნორმალიზებულ იქნეს მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, რომ შავი ზღვის სახელმწიფოთა საზღვრები კეთილმეზობლობის საზღვრები გახდეს, ხოლო შავი ზღვა — მეგობრობისა და ვაჭრობის ზღვა. მხარეებმა სავსებით დაუჭირეს მხარი ცნობილ ხუთ პუნქტს, რომლებიც კუბის რესპუბლიკის მთავრობამ წამოაყენა, და სოლიდარობა გამოუცხადეს კვიპროსის რესპუბლიკის ხალხს. მათ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ პანამელი ხალხის სამართლიან მოთხოვნებს და ვიეტნამისა და კორეის ხალხების სამართლიან გაბრძოლებას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. განცხადებაში კვლავ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა უსწრაფესად გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა მოლაპარაკების მსვლელობაში აზრები გაუზიარეს ერთმანეთს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარების საკითხებზე. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა სისწორე თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ანალიზისა, რომელიც მოცემულია მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში, დაადასტურა, რომ საჭიროა თანამიმდევრულად განხორციელდეს დებულებანი, რომლებიც კოლექტიურად შეიმუშავეს მსოფლიოს მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნიათ, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერესები მოითხოვენ გაძლიერდეს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის იმ გენერალური ხაზის საფუძველზე, რომელიც მოსკოვის თათბირების დეკლარაციამ და განცხადებამ განსაზღვრა. ორივე პარტია ხაზს უსვამს, რომ ამ ამოცანას არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც დღეს აქვს. ისინი გადაჭრით გმობენ ყოველგვარ ცდას, რომლის მიზანია ფრაქციული საქმიანობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგებში.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ერთობლივი განცხადების დასასრულს, დარწმუნებული არიან, რომ ორი ქვეყნის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს ისტორიული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას — ორივე ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებას და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საქმის განმტკიცებას. (საკდესი).



ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. კოსიგინისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. ნ. კოსიგინის დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1964 წლის 20 თებერვალი.

ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავის დღეს.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ალექსი ნიკოლოზის-ძევ, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

გაზაფხული გვისმოგს!

ტრაქტორები — მინდვრად

ყყალტუბო. (საკ. კორ.). მთებზე ჯერ კიდევ ბარაქიანი თოვლი დევს. სოფელ მაღლაკის ველზე კი მიწას ოხშივარი ასდის. დათბა ქვიანეთი, საყანეებმა და საბოსტნეებმა გული გადახსნეს — მხვნელ-მთესველებს ეპატიჟებიან. მექანიზატორებმა არ დააყოვნეს. საწარმოო სამმართველოში პირველნი შეუდგნენ ადრეულ საგაზაფხულო ხვნას მაღლაკის რუსთაველის სახელობის და ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში სასიმინდე მიწის ხვნაზე გავიდა „დტ-54“ მარკის ოთხი ტრაქტორი. მექანიზატორებმა გიგლა ფხაკაძემ, გურამ კუტივაძემ, ბივი- და გერონტი მეძვინაძეებმა ათობით ჰექტარი მოხნეს.

საგაზაფხულო ხვნა გაჩაღდა, აგრეთვე მაღლაკის, ლენინის სახელობის, ზედა მესხეთის, პატრიკეთის, ობშკვითის, საყულიის, ფარცხანაყანევის კოლმეურნეობებში.



გაზაფხული კარს მოგვადგა. დათბა. სულ მალე დაიწყება საადრეო კულტურების თესვა. ამიტომ ამ დღეებში დიდი ყურადღება ექცევა ყველა კულტურის თესლის სრულ კონდიციამდე აყვანას. მაღალხარისხოვანი თესლი უნდა მოსავლის საწინდარია. ახლა თესლის საკონტროლო ლაბორატორიებში სერიოზული სამუშაო აქვთ. ამ მხრივ აღსანიშნავია სარეველის რაიონის თესლის საკონტროლო ლაბორატორიის მუშაობა. ზემო სურათზე: ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი ბ. ფერეთელი (მარცხნივ), ლაბორატორიის მუშაკებთან ერთად ამოწმებს თესლის ხარისხს. ქვემოთ — საგაზაფხულო კულტურების თესლის მომზადება ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფელ ავნევის კოლმეურნეობაში.

ფოტო ა. მაჭავარიანისა და მ. ალბოროვისა.

ქერის თესვა დაიწყო

საგარეჯო. (საკ. კორ.). ნინოწმინდის კოლმეურნეობა მოამზადებული შეხვდა საგაზაფხულო თესვას. უნაკლოდ შეაკეთეს იარად-მანქანები, მოიმარაგეს თესლი. მართალია ჯერ არ დამდგარა გაზაფხული, მაგრამ მათ უკვე დაიწყეს ქერის თესვა. **თენგიზ გეჟიანაშვილმა** და **ვალერიან როსტომაშვილმა** პირველი 20 ჰექტარი დათესეს.

ნინოწმინდის მინდვრებში მალე დაიწყება აგრეთვე მზესუმზირას თესვა.

სასუქებს — მწვანე ქუჩა!

საჩხერის საწარმოო სამმართველოს მშრომელები განსაკუთრებით ზრუნავენ თესლისა და ტექნიკის მომზადებისათვის, მინერალური და ორგანული სასუქების გონივრულად გამოყენებისათვის.

„საკსოფლტექნიკის“ საჩხერის გაერთიანების საწყობებიდან კოლმეურნეობებმა ათას ტონამდე მინერალური სასუქები გაიტანეს. ფოსფორიანი და ორგანული სასუქები შეტანილია მრავალწლიან ნარგავებში. ამ გაზაფხულზე მინდვრად გაიტანენ 10.000 ტონამდე ორგანულ სასუქს.

გ. ჟიღლაძე,
საჩხერის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი.

ვამრავლოთ ეკონომიური პროგრესის წარმატებანი აფრიკაში

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ადის-აბებაში გაგზავნა წერილი, რომელშიც გულითადად მიესალმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის VI სესიის მონაწილეებს. საბჭოთა მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ კომისიის ახლანდელი სესია მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როდესაც დაიწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ყველა კონტინენტის ხალხები სულ უფრო ეხერგიულად და შეუპოვრად იბრძვიან მტკიცე მშვიდობისათვის ჩვენს პლანეტაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოთქვამს იმედს, რომ სესიის მიერ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიური მდგომარეობისა და აფრიკის ქვეყნებისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების გზების განხილვა სასარგებლო წვლილს შეიტანს აფრიკის ეკონომიური პროგრესის საქმეში და ხელს შეუწყობს მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას ყველა სახელმწიფოს შორის. (საკდესი).

ენს ოტო კრაგი ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი 20 თებერვალს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ენს ოტო კრაგს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. საუბრის დროს შეეხნენ ურთიერთსაინტერესო საკითხთა ფართო წრეს. (საკდესი).

დანიის პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

მოსკოვი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის მთავრობამ საუზმე გამართა დანიის პრემიერ-მინისტრის ენს ოტო კრაგისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

დანიის პრემიერ-მინისტრთან ერთად საუზმეზე იყვნენ დანიის ელჩი სსრ კავშირში ქრისტიან დ. ხოლტენ-ეგერტი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ენს ოტო კრაგს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი და საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

საუზმის დროს სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საპასუხო სიტყვა თქვა ენს ოტო კრაგმა.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ე. ო. კრაგის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათი სიტყვების დროს ხშირად გაისმოდა ტაში.

საუზმემ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მომავალი გამგზავრება საფრანგეთში

საფრანგეთის ეროვნული კრების მიწვევით უახლოეს დღეებში პარიზს გაემგზავრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

დელეგაციის მეთაური იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ვ. პოდგორნი. (საკდესი).

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმში

მოსკოვი, 13 თებერვალი. (საკდესის კორ.). მეორე თვეა მსოფლიო იხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს, რომელიც გაეგზავნა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებს ახალი 1964 წლის წინ. ხელმძღვანელობს რა მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით, საბჭოთა მთავრობამ ყველა სახელმწიფოს მთავრობათა განსახილველად შეიტანა ისტორიული მნიშვნელობის წინადადება: **დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება (ან ხელშეკრულება) იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების გადასაჭრელად.** ამ დოკუმენტმა გამოხმაურება ჰპოვა მთელ დედამიწაზე.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმის დამთვალიერებლებს დღეს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ზოგიერთი ამ პასუხის პირებს, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა მუზეუმს. ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისადმი მიძღვნილი დოკუმენტების გამოფენა.

ახალი ექსპოზიცია დიდი წარმატებით სარგებლობს.

ქართველ მშენებელთა დელეგაცია ერევანს გაემგზავრა

ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მკვიდრად — ამ დევიზით ერთი წლის წინათ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს და ერევნის პირველი სამშენებლო ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივებმა.

1963 წლის მუშაობის შედეგები შეჯამებული. გამოირკვა, რომ ორივე კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. მთავართბილისმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველომ წლიური გეგმა 22 დეკემბრისათვის შეასრულა. გეგმის გადამეტებით საცხოვრებლად გადასცა 3.000 კვადრატული მეტრი ფართობი, ვალდებულება კი 1.000 მეტრს ითვალისწინებდა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 15 პროცენტით აამაღლა, ხოლო მშენებლობის ღირებულება 3,3 პროცენტით შემცირა. ყველა საცხოვრებელი სახლი საგქსპლოატაციოდ გადასცა საგარანტიო პასპორტით.

მშენებელთა საერთო კრებაზე, სადაც განხილულ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ერთსულოვნად გადაწყვიტეს კვლავ გააგრძელონ შეჯიბრება სომეხ მშენებლებთან და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

გუშინ მთავართბილისმშენის მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მშენებელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან შ. ფალიკაშვილი (სამმართველოს უფროსი, დელეგაციის ხელმძღვანელი), ა. გელაძე, ვ. ნადირაძე, ბ. მესხიშვილი, ა. კვეკვეცია, ნ. ნადირაშვილი და სხვ., ერევანს გაემგზავრა. მშენებლები შეჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გააფორმებენ ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მეგობრობის საღამო

ვილნიუსი, 19 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). 18 თებერვალს ვილნიუსის პროფკავშირთა სასახლეში გაიმართა ლიტველი და ქართველი ხალხების მეგობრობის საღამო, რომელიც მოაწყვეს პროფკავშირის რესპუბლიკურმა საბჭომ და ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ტურისტულ-საექსკურსიო მატარებლით ვილნიუსში ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

ლიტვის სსრ პროფსაბჭოს მდივანმა ბ. ლოპატამ გულითადად მიესალმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეებს გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს მიღწეული წარმატებანი და ახალი გამარჯვებები უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ კ. პურვინსკასმა.

ქართველი ტურისტების სახელით შეკრებილთა მიესალმა მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ქათამაძე. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ლიტველ მეგობრებს გულითადი შეხვედრისათვის.

მეგობრობის საღამოს მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

19 თებერვალს ქართველი ტურისტები ეწვივნენ ლიტვის უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრს ქალაქ კაუნასს, საღამოს კი გამემგზავრნენ ლატვიის დედაქალაქ რიგაში.

მეძუხარე ტაშის გრიალში

ულანბაატარი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იტყობინება: აქ დამთავრდა საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები.

„დიდი წარმატების გამო ანსამბლი გამართავს დამატებით კონცერტს“. ასეთ წარწერას წაიკითხავდით გასტროლების დროს ავიშებზე, რაც ნათლად მეტყველებდა იმას, რომ სახელგანთქმულმა მხატვრულმა კოლექტივმა შეეიცარიელთა გული მოინადირა.

ორ კვირაზე მეტს იმყოფებოდნენ საბჭოთა ხელოვნების წარმოგზავნილები შვეიცარიაში და ამ ხნის მანძილზე გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა 180 მსახიობსა და მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის მოყვარულ ათიათასობით შვეიცარიელს შორის, რომლებიც ანსამბლის კონცერტებს დაესწრნენ.

დღეს საბჭოთა არმიის ანსამბლი უენევიდან იტალიაში გაემგზავრა, სადაც სამშობლოში დაბრუნებამდე რამდენიმე კონცერტს გამართავს.

ფრანგი მუშების საჩუქარი

პარიზი, 20 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. საფონოვი იუწყება:

საფრანგეთის ზარაფხანის მუშებმა საჩუქრად გაუგზავნეს საბჭოთა ხალხს მედალი, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი. მედალის ავტორი გრავერი ანდრე ბლოკი და მისი სამი ამხანაგი: შარლ პერლიკო, ანდრე მონდენი და ჟორჟ როლანეი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მედალის შექმნაში, მიიღო სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვმა. გადასცა რა მედალი, ანდრე ბლოკმა განაცხადა: „დიდი ლენინის გამოსახულებას ჩვენ გადავცემთ საბჭოთა კავშირის ხალხს, რომელმაც ისტორიაში პირველმა განახორციელა ილიჩის ოცნება და მთელი დედამიწის ხალხებს უჩვენა მშვენიერი მომავლის — კომუნიზმის გზა. ლენინი ყველა თაობისათვის იქნება საერთაშორისო პროლეტარიატის საქმისათვის მებრძოლის დიადი მაგალითი. ლენინის სახელი ისევე ძვირფასია საფრანგეთის მშრომელებისათვის, როგორც მთელი მსოფლიოს მუშათა ავანგარდის საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის“.

დიდი მეგობრობა

რანგუნი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირი ბირმის ხალხთა უდიდესი მეგობარია“, — ხაზს უსვამს ბირმის გაზეთი „ბოტატაუნი“. სტატიაში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირსა და ბირმის კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მე-16 წლისთავს, ლაპარაკია ორი ქვეყნის მეგობრობასა და თანამშრომლობაზე.

ეხება რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის წინააღმდეგი იყო იმპერიალისტური სახელმწიფოთა ჩარევისა იმ ქვეყნების საქმეებში, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ, და რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ატომური ომის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებაა.

საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობა, დასკვნის გაზეთი, გამდიდრებულია მისწრაფებით მშვიდობისადმი, საქმეებით მშვიდობისათვის, ეს მეგობრობა იზრდება და ფაფოვდება.



თეთრი ოლიმპიადის გმირთა პატივსაცემად

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა IX ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაზე ინსბრუკში (ავსტრია). მათ სამშობლოში ჩამოიტანეს 11 ოქროს, 8 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს medali. ჩვენი ხალხი დიდად გაახარა საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც უძნელეს შეჯიბრებაში მაღლა გამოატარეს საბჭოთა სპორტის დროშა, გამოიჩინეს ჩინებული სპორტული ოსტატობა, გამარჯვებისადმი განუხრელი სწრაფვა.

და აი 19 თებერვალს თეთრი ოლიმპიადის გმირები მოვიდნენ სადარბაზო სახლში, სადაც ისინი მიიწვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ.

დარბაზში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი. შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ მათ.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ ოთხგზის ოლიმპიადის ჩემპიონსა და მსოფლიო ჩემპიონს ლ. სკობლიკოვას, სხვა სპორტსმენებს, რომლებმაც შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს. მათ შორის არიან ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის კაპიტანი ბ. მაიოროვი, ჩემპიონი ბიატლონში ვ. მელანინი, ფიგურისტთა „ოქროს“ წყვილი ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, მოცეგურავეები — ვ. სტენინა, ტ. სიდოროვა, ი. ეგოროვა, ბ. კოლოკოლცევა, მოთხილამურეები — მ. გუსაკოვა, ა. კოლჩინა, კ. ბოიარსკიხი, ე. მეკშილო და სხვები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადად მიესალმა სპორტსმენებს გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს IX ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაში. მან თქვა, რომ ამ გამარჯვებით ჩვენი სპორტის წარმომადგენლებმა ასახელეს სამშობლო, ჩვენი ხალხი, საბჭოთა ახალგაზრდობა. ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას, თავიანთი მამების, ჩვენი პარტიის ღირსეულ შვილებს, საბჭოთა სპორტს, მის შემდგომ განვითარებას, იმათ, რომლებმაც პრიზები მიიღეს, და იმათაც, რომლებიც პრიზიორებთან ერთად გამარჯვებას ესწრაფოდნენ, გამარჯვება უსურვა ლენინურ კომკავშირს, რომელმაც აღზრდა პატრიოტი სპორტსმენები. დარბაზობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა ბიატლონში გამარჯვებულთ — ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების აღზრდილებს.

სტუმრებს შორის იყო იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ლუიჯი ლონგო. იტალიის კომუნისტებისა და იტალიელი სპორტის მოყვარულთა სახელით მან აღფრთოვანება გამოთქვა იმ შედეგების გამო, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს, და მხურვალედ მიესალმა მათ.

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. დ. მაშინმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და ფიზიკური სრულყოფისათვის.

სიტყვა წარმოთქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. სკობლიკოვამ.

ოლიმპიური გუნდის სახელით ლ. სკობლიკოვამ დარბაზობის მონაწილეთა ტაშის გრიალში ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა საბჭოთა გუნდის ოლიმპიური ნიშანი და IX ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის სამახსოვრო medali. ნიკიტა სერგეის-ძემ გ

რა მოგვცა შიდასამეურნეო სპეციალიზაციამ

თეთრი ქარავანი შირაქში

მზე კავკასიონის ცადაზიდულ მწვერვალებს გადაეფერა, შირაქში ბინდი ჩამოწვა. რაფიელ ჭოლიკიძემ გაფანტული ცხვარი შეაგროვა და ბინისაკენ გარეკა. რქადაგრეხილი ვაცები ფარას წინ წაუღლვნენ. ყელმოჩანგლული ძაღლები სამწყემსოს მიჰყვებიან.

ვლადიმერ ბექურიძე ბრიგადის წინამძღოლია. ყველა საქმეზე გული შესტკივა. აი ახლაც მწყემსებს დაწერილებით გამოჰკითხა დღის მუშაობის შედეგები. ცხვარს ზარალი არ მოსვლია. ლაპარაკი ხვალინდელზე ჩამოვარდა. მწყემსებმა თავიანთი წინადადებანი წამოაყენეს.

ანტონ ბექურიძემ თქვა:

— ზამთარი ჭირვეულობს, ცივა. ზოგჯერ ქარბუქი ბორგავს. გაზაფხულის სუნთქვა არ იგრძნობა. ხორაგი გამოილია, მწვანე არა ჩანს. ნერბს ულუფა უნდა გავუდიდოთ.

სარქალმა ცხვრის ულუფა გაადიდა. ბატკნებმა გაიხარეს, რძე აღარ აკლიათ. ბრიგადამ პირველი „ძეობა“ იანვრის ბოლოს გადაიხადა. საბატკნეებში უკვე ორასზე მეტი ბატკანი კუნტრუშობს.

ექვსი წლისა იყო ვლადიმერ ბექურიძე, მამა რომ მოუკვდა. ხელმოკლე დედამ მეზობლებს სთხოვა ბიჭუნა ცხვარში წაეყვანათ. ვლადიმერს თავიდანვე ეტყობოდა, რომ გამრჯე კაცი გამოვიდოდა. გაიზარდა, დავაჟკაცდა, ცხვრის მოვლა-პატრონობა კარგად ისწავლა. თანასოფლელებმა მისი ღვაწლი დააფასეს, კოლმეურნეობის ფერმის გამეობა დააკისრეს. ცხარმეტი წელიწადი ისე იმუშავა, რომ შენიშვნა არ მიუღია. საბჭოთა მეურნეობა რომ შეიქმნა, ბრიგადირობა ითავა. ვლადიმერი ორმოცდამეოთხე ზამთარს ატარებს საძოვრებზე და რა გამოეპარება? ალვანელებმა მას „ცხვრის პროფესორი“ შეარქვეს.

დილაადრიან ვლადიმერი ნერბებს ათვალიერებს, ატყობს, თუ იმ დღეს რომელი ცხვარი დადოლდება. როგორც კი ბატკანი დაიბადება, პირიდან ლორწოს აცლის, ახალდაბადებულს სუნთქვას უადვილებს, შემდეგ ტანს უშენდს და ნერბს წინ უწევს, რათა ალოკოს და შეითვისოს. ხელში დიდხანს არ აჭერებს, რადგან იცის, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ბატკანი აიძულოს. მოკლედ, ნაცად სარქალს ცხვარში არაფერი გამოეპარება.

ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ოთხმოცდაოთხ ათას სულ ცხვარს სამოცი ბრიგადა მზრუნველობს, ორმოცდაშვიდი ათასი ნერბი დოლში ჩადგა. პატარა მირაქი, ოღე, ყუმრო, ბუდა მოედანნი, სამუხი. თეთრი ქარავანი ყველგან მრავლდება. ალვანელების დიდი ალოობა აქვთ. მეურნეობის დირექტორი კოსტა ჯამბრულიძე დილიდან გვიან ღამემდე ცხვრის ფარებს დასტრიალებს თავს. ღამით „კასრის წყალზე“ ბრუნდება. „შტაბში“ ყოველდღიური მუშაობის შედეგებს აჯამებენ. ფერმის გამგეები პლატონ ქავთარიძე, ივანე თავგბერიძე, შოთა ლაგაზიძე, დიმიტრი მჭედლიშვილი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კონკრეტულ წინადადებებს აყენებენ. ირიტრაჟებს თუ არა, კომბინირებული საკვებით, თივით დატვირთული ათობით ავტომანქანა მინდვრებისაკენ მიემართება.

იმ დღეს პარტიის ახმეტის რაიკომის მდივანმა ალექსი ბატიაშვილმა და კოსტა ჯამბრულიძემ ერთად შემოიარეს ბრიგადები. კარგი ბევრი ნახეს, ნაკლოვანებანი მცირე აღმოჩნდა. რაიკომის მდივნის კითხვაზე: შეასრულებს თუ ვერა მეურნეობა ვვიდწლედის მეექვსე წლის დავალებას, მეურნეობის დირექტორმა დამაჯერებლად უპასუხა:

— გადამეტებით! საამისოდ მეურნეობის კოლექტივი ძალ-ღონეს არ ზოგავს, ზამთრისათვის ხუთი ათასი ტონა თივა დავამზადეთ. პურპროდუქტების წნორის ბაზიდან დიდძალ კომბინირებულ საკვებს ვიღებთ, ცხვარი წინანდებურად პრიმიტიულ ბინებში როდი გვყავს. მარტო შარშან ოცდათერთმეტი ბრიგადისათვის ახალი ბინები ავაგეთ. წელს 959 ტონა ხორცი უნდა მივიეთ სამშობლოს. ოცდაორი ათას სულ ცხვარს ჩავაბარებთ, დანარჩენი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის ხორცი იქნება.

უსმენ მეურნეობის თავკაცს და გჯერა მისი, გჯერა იმიტომ, რომ მეურნეობა ნამდვილად აღმავლობის გზაზეა. შარშან ორასი ათას მანეთზე მეტი მოგება მისცა სახელმწიფოს.

ვაშლოვანის მთებს გგერდით ჩავუარეთ. აქ რა ფრინველსა და რა ნადირს არ შეეყრებით. მეურნეობის ოთხასსზე მეტი ნაგაზი ცხვრის ფარებს დარაჯობს. მსუნაგმა მგელმა ცხვრის მოტაცება მოიწადინა, ქოფაკებმა ალყაში მოაქციეს და გაგუდეს.

ძარღვმაგარი მუხებისაგან დანათლულ სამუხის ველზე ლაზარე ქაჯაის ბრიგადას დაუდგია ბინა. ლაზარეს სამოც წელს დაუკრა თავი, მაგრამ გული და მუხლიც ახალგაზრდული შერჩენია. ორმოცდამეთოთე ზამთარს ითვლის სამოვრებზე. ოცი ათას კილომეტრზე მეტი გაიარა ფეხით. რამდენი ხიფათი შეხვედრია გულად თუმს, რამდენჯერ შებრძოლებია სტიქიას თუ ნადირს და შინაარ მიჰკარებია მის გულს, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ცხვრისათვის სამუხისთანა ადგილი არც შირაქშია და არც შირვანში, მაგრამ წელს უჩვეულო ზამთარია. ყინავს, მწვანეს ამოსვლის საშუალებას არ აძლევს. ამატომ აოის, რომ მწყემსები მეტად ჯაფობენ. ცხვარს დამატებით საკვებს აძლევენ, დარწყულებას არ ბის ნაპრალებიდან თოთხმეტი მგელი ამოვიდა. ცხვრის ფარას ალყა შემოარტყეს. მეცხვარეებმა გ. ჯანიბეგაშვილმა და გ. ქართველიშვილმა ყვირილი მორეს და კომბეზი დაატრიალეს. ბრძოლაში ჩაება სამი ქოფაკიც. მგლის ხრო ვერაფერს გახდა, ცხვრის კუდიც კი ვერ წაიღეს. მამაცმა მწყემსებმა ფარა უდანაკარგოდ მირეკეს ბინაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დოინჯიშვილს ვთხოვეთ მოწინავე მეცხვარეები დასახელებინა. ბევრი იფიქრა, მაგრამ ერთმანეთისაგან ვერავინ გაარჩია, ყველა ქების ღირსია. ხარება დაიობი შათირიშვილი, გია გოდერძიშვილი, უშანგი ხოხობაშვილი. მათი გარჯის შედეგია, რომ ჭირვეულ ზამთარში ცხვარს არაფერი დაკლებია.

ყველგან ია და ვარდი როდი ჰყვავის. პარტიის ახმეტის რაიკომის მდივანმა ა. ბატიაშვილმა, თელავის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. მეგრელიშვილმა, ახმეტის სამკურნალოს ვეტექიმმა გ. შაშიაშვილმა ცხვრის გამოზამთრების საქმეში ცოტა ნაკლოვანებანი როდი აღმოაჩინეს. ხალაწანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ივანე სამუკაშვილს ცხვრისათვის ბინების მოწყობა გვიან გაახსენდა. თივის მიტანისათვის თავი არ შეიწუხეს. ამიტომ იყო, რომ ორასზე მეტი ცხვარი დაჯანდაგდა, ორმოცმა სული განუტევა.

დუისის კოლმეურნეობის ბრიგადებში ცხვრის ტყავები გამოგავლდა. დუისელებმა ზაფხულში დიდძალი თივა დაამზადეს, მაგრამ ბინებთან მისი მიტანა დღემდე ვერ „მოასწრეს“, ბინები კეთილმოწყობილია. მწყემსები ზარმაცობენ, ცხვარს მოვლა-პატრონობა აკლია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მარგოშვილი რატომღაც გულდამშვიდებულია, ცხვრის ზარალი ნაკლებად აწუხებს.

ზარალი მოსდის დუმატურის, არგოხისა და ქორეთის ცხვრის ფარებსაც.

უკან რომ ვბრუნდებოდი, გზაში დიდძალი სატვირთო ავტომანქანები შემოგვხვდა. ცხვრისათვის მიაქვთ თივა, ქერი, კომბინირებული საკვები, მარილი. მიდის დამხმარე მუშახელიც. ჩანს, ახმეტელებმა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სასწრაფო ზომები მიიღეს.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

თეგერავალი, შირაქი.

* * *

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ მარცხნივ — ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს კ. ჯამბრულიძეს, შუაში — ტ. ტუმასიანის ბრიგადის ცხვარს, რომელიც კარგად იზამთრებს და მარჯვნივ — მოწინავე ბრიგადირს ლ. ძაბაძეს, რომელიც 60 წლისაა და ათეული წლების მანძილზე მეცხვარედ მუშაობს. მან თანასოფლელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ფოტო მ. თელიაშვილისა. (საქდესი).

ქიმიის მძლავრი ბაზა

გ. სიმორიძე,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ ღამსახურებული ინჟინერი.

ჩვენმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა პირველხარისხოვანი მძიმე ინდუსტრია. ახლა დგას ამოცანა მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების პარალელურად განვავითაროთ ქიმიური მრეწველობა. ამისათვის საჭირო იქნება ზოგ შემთხვევაში მძიმე ინდუსტრიის ქარხნები გამოიყენოთ ქიმიური მრეწველობის ბაზად.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის სავსებით სწორად აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობა შეიძლება განვითარდეს და კიდევაც უნდა განვითარდეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმავალ გზების გამოყენების გზით.

ზესტაფონის ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის ნედლეულის მძლავრ წყაროს ფეროშენადნობთა ქარხნის დახურული ელექტროღუმელებიდან ამოვალი გაზები წარმოადგენენ, რომლებიც მიიღებიან მათში ნახშირბადიანი ფერომანგანუმის და სილიკომანგანუმის დნობის შედეგად. ამ მოსაზრების დასაბუთებლად შემდეგი რეალური პირობები არსებობს:

1957-1959 წლებში პირველად საბჭოთა კავშირში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჩატარებული იყო საცდელ-საკვლევი სამუშაოები დახურულ მადანთერმიულ ელექტროღუმელებში ნახშირბადიანი ფერომანგანუმის და სილიკომანგანუმის გამოდნობაზე. ამ ცდებით დადგინდა ხსენებულ ფეროშენადნობთა დნობის პროცესში წარმოშობილი გაზების ხარისხი და რაოდენობა. შემდგომ ეს ცდები გამეორდა ზაპოროჟიესა და ალმაზიანის ფეროშენადნობთა ქარხნებში. ამ ცდების დიდი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ქვეყანაში საფეძველი ჩაეყარა პროგრესულ ფეროშენადნობთა წარმოებას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში უახლოეს დროში ამუშავდება ორი მძლავრი დახურული ელექტროღუმელი ნახშირბადიანი ფერომანგანუმის და სილიკომანგანუმის გამოსადნობად. თვითეული ამ ღუმელიდან ამომავალი გაზების რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში მიაღწევს საშუალოდ 90 ათას კუბურ მეტრს. ერთი კუბური მეტრის თბოუნარიანობა იქნება 2.900 კილოკალორიამდე და ნახშირჟანგის შემცველობა 87 პროცენტამდე. ამის მიხედვით გამოანგარიშებულია, რომ ამჟამად მშენებლობაში მყოფი ყველა ღუმელის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, რაც განზრახულია 1965 წლის ბოლოსათვის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ღუმელები იმდენ გაზს გამოუშვებენ წელიწადში, რომ მისი თბოუნარიანობა 70 ათასი ტონა მაზუთის ეკვივალენტური იქნება.

ამ გაზების გამოყენების სამი შესაძლო ბილა არსებობს: **პირველი.** პირომეტალურგიაში მადნებიდან ენაგეულების ალსადგენად, **მეორე.** საწვავ მასალად ორთქლის ქვაბებში, **მესამე.** ქიმიაში ორგანული პროდუქტების სინთეზისათვის. მართალია, პირველი ორი მიზნისათვის ამ გაზების გამოყენება დიდ ეფექტს მისცემდა სახალხო მეურნეობას, მაგრამ რადგან ის უსასყიდლო მზა შუალად პროდუქტს წარმოადგენს ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივად ნახშირისა და ნავთობის პროდუქტებისაგან მიიღება, რასაკვირველია, დიდად მიზანშეწონილი იქნება მისი გამოყენება ქიმიურ მრეწველობაში.

აქაური გაზი მასში ნახშირჟანგის მაღალი შემცველობის გამო მდიდარ ნედლეულს წარმოადგენს მეთილის სპირტის (მეთანოლის) მისაღებად. ცნობილია, რომ მეთილის სპირტის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდი წარმოადგენს მის კატალიზურ სინთეზს ნახშირჟანგისა და წყალბადისაგან 300-400 გრადუსი ტემპერატურისა და 100-1000 ატმოსფეროს წნევის პირობებში. მეთილის სპირტის დაჟანგვით მიიღება ფორმალდეჰიდი, რომელიც გამოყოფის და გაწმენდის, პოლიმერიზაციისა და მოდიფიკაციის შემდეგ გადადის მაღალმოლეკულურ ხაზობრივი სტრუქტურის მქონე ფორმალდეჰიდის პოლიმერში. უკანასკნელი პოლიფორმალდეჰიდის ქიმიური სახელწოდებით არის ცნობილი.

პოლიფორმალდეჰიდი ახალი სინთეზური მასალაა. მისი განსაკუთრებული ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამო იხმარება ფერადი ლითონებისა და მათ შენადნობთა შემცველობად მანქანათ მშენებლობაში, საავტომობილო და ხელსაწყოთმშენებლობაში. და, ბოლოს, მეორე მის და სილიკომანგანუმის ნარჩენებად. თვითეული ამ ღუმელიდან ამომავალი გაზების რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში მიაღწევს საშუალოდ 90 ათას კუბურ მეტრს. ერთი კუბური მეტრის თბოუნარიანობა იქნება 2.900 კილოკალორიამდე და ნახშირჟანგის შემცველობა 87 პროცენტამდე. ამის მიხედვით გამოანგარიშებულია, რომ ამჟამად მშენებლობაში მყოფი ყველა ღუმელის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, რაც განზრახულია 1965 წლის ბოლოსათვის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ღუმელები იმდენ გაზს გამოუშვებენ წელიწადში, რომ მისი თბოუნარიანობა 70 ათასი ტონა მაზუთის ეკვივალენტური იქნება.

ამ გაზების გამოყენების სამი შესაძლო ბა არსებობს: **პირველი.** პირომეტალურგიაში მადნებიდან ენაგეულების ალსადგენად, **მეორე.** საწვავ მასალად ორთქლის ქვაბებში, **მესამე.** ქიმიაში ორგანული პროდუქტების სინთეზისათვის. მართალია, პირველი ორი მიზნისათვის ამ გაზების გამოყენება დიდ ეფექტს მისცემდა სახალხო მეურნეობას, მაგრამ რადგან ის უსასყიდლო მზა შუალად პროდუქტს წარმოადგენს ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივად ნახშირისა და ნავთობის პროდუქტებისაგან მიიღება, რასაკვირველია, დიდად მიზანშეწონილი იქნება მისი გამოყენება ქიმიურ მრეწველობაში.

პროგრესულ ფეროშენადნობთა წარმოება ამით არ ამოწურავს ქარხნის ნარჩენების სხვა წარმოებაში ნედლეულად გამოყენების შესაძლებლობებს. დახურული ღუმელებიდან ამომავალი გაზები საკმაო რაოდენობით იტიცებენ საკაზმ მასალების მტვერს, რომელშიც მანგანუმის შემცველობა 35 პროცენტს აღწევს. მანგანუმის მადნის დისპერსული მტვრის კონტაქტი ნახშირჟანგთან წარმოშობს ისეთ პირობებს, როდესაც მანგანუმის ჟანგი გადადის გოგირდმჟავაში, ე. ი. ადვილად ხსნად მდგომარეობაში. მანგანუმის მადნის აღდგენითი პროცესის განხორციელებისათვის ასეთ პირობებს ხელოვნურად ქმნიან სპეციალურ დანადგარებში, აქ კი ეს თანმხლები პროცესი და ლათინური მანგანუმის ელექტროლიზით მიღების ტექნოლოგიურ პროცესში მისი ჩაქსოვა დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს. მცირე კაპიტალური ხარჯებით შესაძლებელია მისი თავმოყრა და ხსენებულ წარმოებაში გამოყენება მანგანუმის მადნის მაგიერ.

მეტალური მანგანუმის ელექტროლიზით მიღების დროს გარკვეული რაოდენობით წარმოიშობა შლამები, რომლებიც ამჟამად წარმოების ნარჩენებთან ერთად გაიქცევ. შლამები შეიცავენ სულფატამონიუმის და მანგანუმკალციუმმაგნიუმის მარილს. ცნობილია, რომ ორივე ეს ნივთიერება შეიძლება გამოყენებულ იქნას სოფლის მეურნეობაში სასუქად. ამ საკითხის შესწავლა არ წარმოადგენს სირთულეს და ამიტომ მისი გამოყენების საკითხი ახლო მომავალში უნდა „გადაწყდეს.

დასასრულ საჭიროა შევეხოთ კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. მეტალური მანგანუმის ელექტროლიზით წარმოების დროს მთელი დახარჯული ელექტროენერგიის მხოლოდ ნახევარი ხმარდება ძირითადი პროდუქციის მიღებას, მეორე ნახევარი კი იხარჯება წყალბადის გამოყოფაზე. წარმოებაში წყალბადის გამოყოფა ბრგვინავი გაზებისა და ხანძრის წარმოშობის საშიროებას ქმნის.

მომწიფებულია საკითხი, რომ მეტალური მანგანუმის ელექტროლიზით მიღების დროს წარმოშობილი წყალბადი დავიჭიროთ, დავაგროვოთ და მას გარკვეული გამოყენება მივცეთ ქიმიური პროდუქტების წარმოებაში. ამით მნიშვნელოვნად გავაიაფებთ ძირითადი პროდუქტის თვითღირებულებას და მოისპობა ბრგვინავი გაზების და ხანძრის წარმოშობის შესაძლებლობანი.

ზესტაფონი მალე ქიმიური მრეწველობის მძლავრი ბაზა იქნება.

მეცნიერება და პრაქტიკა

ნიადაგის მკურნალი

დღეს ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის გზაზე ახალი წინსვლის ნიშანსვეტად აღიმართა დიდი ქმონა. იგი ახლა მხრებს შლის სახალხო მეურნეობაში.

ქიმიზაციის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის ფართოდ გაიშალა სამუშაოები ჩვენს რესპუბლიკაში.

ჩვენ დავინტერესდით, რა საქმიანობას ეწევა ამ მხრივ საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ამის თაობაზე ვესაუბრეთ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში გიორგი ახვლედიანს.

— ჩვენი ქვეყნის ქიმიის დარგის მუშაკთა წინაშე, — თქვა მან, — ჟენშარიტად გრანდიოზული და პასუხსაგები ამოცანებია დასმული, რომელთა განხორციელებაში გადამწყვეტი სიტყვა ქიმიკოს მეცნიერებს ეკუთვნით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენს რესპუბლიკაში ნიადაგების ვარგისიანობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მათი „მკურნალობა“.

— **რა მიზანს ისახავს იგი და რა საშუალებები განხორციელდება ამისათვის?**

— ინსტიტუტში სამი წლის განმავლობაში, — ამბობს გ. ახვლედიანი, — დეტალურად შეისწავლიან საქართველოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განკარგულებაში მყოფ ნიადაგებს, რაც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ როგორი ნიადაგებია ამა თუ იმ მეურნეობაში და რა ღონისძიებათა განხორციელებაა საჭირო სხვადასხვა კულტურების მოსავლიანობის გაზრდისათვის. კოლმეურნეობებს გადაეცემათ მსხვილმასშტაბიანი ნიადაგური რუკა და აგროქიმიური კარტოგრამები, ეროზიასთან— ნიადაგის ჩამორეცხვის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციები და ტექსტი მელიორაციული, აგროტექნიკური რჩევებით. ასეთი გამოკვლევები დაახლოებით სამას ათას ჰექტარ მიწაზე ჩატარდება.

ამავე დროს ინსტიტუტი დახმარებას უწევს წარმოებას მის მიერ შემუშავებული ღონისძიებების დანერგვაში. კერძოდ, ქობულეთის საბჭოთა მეურნეობაში უკვე ინერგება მძიმე დაჭაობებული ნიადაგების ათვისების მეთოდი დახურული დრენაჟის საშუალებით. ამის შედეგად ამ ფართობებზე მომავალში შეიძლება მივიღოთ სიმინდის და სხვა კულტურების მაღალი მოსავალი.

გარდა ამისა, ჩვენი ინსტიტუტი დიდი მასშტაბის სამუშაოებს ასრულებს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანერგვის საქმეში. მაგალითად, სართიჭალის მერძევეობა-მეგობსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე წელს დაინერგა მთელი რიგი ღონისძიებები, რაც შეამცირებს ეროზიის ხარისხს და გაადიდებს მოსავლიანობას.

— **თქვენ გვესაუბრეთ ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის ზოგიერთ სამუშაოზე. საინტერესოა აგრეთვე აგროქიმიის საკითხები, რომლებიც თქვენს ინსტიტუტში მუშავდება.**

— ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოო სამმართველოებთან ჩამოყალიბებულია 21 ნიადაგ-აგროქიმიური ლაბორატორია, რომელთა დანიშნულებაა შეისწავლონ სამმართველოში შემავალ ცალკეულ მეურნეობათა ნიადაგები, გამოარკვიონ, თუ რამდენია მათში საკვები ნივთიერება და ამის საფუძველზე შეადგინონ ნიადაგური რუკები, აგროქიმიური კარტოგრამები. ეს კი საშუალებას მისცემს მეურნეობას სწორად და ეფექტურად გამოიყენოს მინერალური სასუქები.

მალე ჩვენთან დაიწყება დიდი მასშტაბის სამუშაოები აზოტის ბალანსის შესწავლისათვის, რომლის შესახებაც დღემდე რესპუბლიკაში ნაკლები ცნობები მოიპოვება. ეს საშუალებას მოგვცემს, სხვა მონაცემებთან ერთად, მივიღოთ საჭირო მასალა ნიადაგში აზოტოვანი სასუქების შეტანის დოზების დასადგენად და შევადგინოთ სათანადო კარტოგრამები.

მიმდინარე წელს ინსტიტუტში დამთავრდება აგრეთვე სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული საწარმოო სამმართველოების აგრონიადაგურ დარაიონებასთან. ეს დაეხმარება სამმართველოებს სწორად დაგეგმონ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია.

ნ. ჯაფარიძე.

სოფლის მეურნეობა

ადგილობრივი საბჭოები და აღმასკომები

მეგრელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და მათი აღმასკომების მუშაობას საფუძვლად უდევს სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებები და პარტიის ახალ პროგრამაში ჩამოყალიბებული დებულებანი, რომელთა საფუძველზე არსებითად გარდაიქმნა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობა.

იმ დიდ წარმატებებში, რომლებიც 1962-1963 წლებში მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობისა და სხვა დარგებში, ღირსეული წვლილი შეიტანეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ჭიათურის, რუსთავის, ტყვარჩელის, ტყიბულის და სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობა. ფართო აქტივზე დაყრდნობით ასევე კარგად მუშაობენ მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის ცხაკაიას, წყალტუბოს, სამტრედიის, ახალციხის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის და სხვა სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები.

ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1960 წლის 25 ივნისის დადგენილების შესასრულებლად, რომელშიც დასახულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შედეგია ის, რომ კოლმეურნეობათა სახსრებითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით უკანასკნელ წლებში რესპუბლიკას შეემატა 192 სკოლა, 163 კლუბი, 29 კულტურის სახლი, 13 თეატრი, 111 ბიბლიოთეკა, 109 სავადმყოფო და სამედიცინო პუნქტი, 29 აფთიაქი, 88 აბანო, კოლმეურნეთა 35 დასასვენებელი სახლი და სხვ.

მარტო მახარაძის რაიონში, საიაც ჩაისახა ეს პატრიოტული ინიციატივა, ამ ბოლო წლებში, გარდა სამეურნეო ნაგებობებისა, აშენებულ იქნა 7 სკოლა, 3 კლუბი, 2 კულტურის სახლი, 7 ბიბლიოთეკა, 24 საბავშვო დაწესებულება, 11 მაღაზია, გაყვანილია წყალსადენი 8 კილომეტრზე, კეთილმოწყობილია გზები 24 კილომეტრზე, ელექტროფიცირებულია 24, ხოლო რადიოფიცირებულია 12 სოფელი, აშენებულია აგრეთვე კოლმეურნეთა 6 დასასვენებელი სახლი და ბევრი სხვა შენობა.

მსგავსი მაგალითების დასახელება შეიძლება ბევრი სხვა რაიონიდანაც.

ადგილობრივ საბჭოებში ცოტა როდია გაკეთებული ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. უფრო ორგანიზებულად ეწყობა საბჭოების

მაგრამ ამასთან ერთად ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს.

ზოგი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი ვერ გარკვეულა ახალ ვითარებაში და ძველი ფორმებითა და მეთოდებით მუშაობს. მთელ რიგ აღმასკომებში იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კანონებსა და მართლწესრიგის ყოველგვარ ნორმებს. ეს პირველ რიგში ეხება თეთრი წყაროს, ზესტაფონის, სამტრედიის, თელავისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით განსაზღვრულია აგრეთვე აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ზოგან ეს კომისიები ან სრულ უმოქმედობას იჩენენ, ან მუშაობაში უხეშ შეცდომებს უშვებენ. აღმასკომები კი ამ მდგომარეობას ურიგდებიან და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მარნეულის სამრეწველო, თეთრი წყაროს სასოფლო რაიონისა და ქ. კასპის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს არც 1962 წელს და არც 1963 წელს სხდომები არ ჰქონიათ. აქ ყოველი დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით ჯარიმას ერთპიროვნულად ახდევინებდნენ მილიციის მუშაკები და ადმინისტრაციული კომისიის მდივნები. ჯანსიები და აღმასკომების სხდომები, ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებებისა და საკუთარ გადწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მეტი ყურადღება ეთმობა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს.

ბევრი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი პასუხისმგებლობით ეკიდება საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს, სისტემატურ ბრძოლას ეწევა პარაზიტული ელემენტების, წამგლეჯების, მექრთამეების და სხვა სახის ანტისოციალური ელემენტების წინააღმდეგ.

ზოგიერთი აღმასკომი დავალებას აძლევს ან სასჯელს აღებს ისეთი დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებიც მას არ ეშვმდებარებიან.

ახალციხის, გეგეჭკორის, გორის, მესტიის და თელი რიგი სხვა რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სადირექტივო მითითებებს აძლევენ რაიონის პროკურორს, სახალხო სასამართლოს, კოლმეურნეობის გამგეობას, საბჭოთა მეურნეობის დირექციას და სხვა ორგანიზაციებს.

ცალკეულ საკითხებზე არასწორი გადაწყვეტილებები აქვთ მიღებული აგრეთვე ფოთის, ბორჯომისა და ზოგიერთი სხვა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

ზოგიერთი აღმასკომი არ იცავს სესიებისა და აღმასკომის სხდომების მოწვევის პერიოდულობას. ხშირად აღმასკომის სხდომაზე განიხილავენ უამრავ საკითხებს და იღებენ ზოგად, არაკონკრეტულ გადწყვეტილებებს. ბევრგან საჭირო ყურადღება არ ეთმობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, სუსტია კონტროლი. მაგალითად, მარნეულის სამრეწველო რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს 1963 წლის განმავლობაში ერთსელაც არ განუხილავს საკითხი, თუ როგორ სრულდება მისი გადაწყვეტილებანი. ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომებს კი ეს საკითხი მხოლოდ თითოჯერ აქვთ განხილული.

ზოგ აღმასკომს ხშირად უხდება შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებები იმის გამო, რომ ისინი უხარისხოდ იყო მომზადებული.

1963 წლის განმავლობაში ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შესწორება შეიტანა თავის 11 გადაწყვეტილებაში, მესტიის რაიაღმასკომმა—9 გადაწყვეტილებაში, ზუგდიდის რაიაღმასკომმა — 7 გადაწყვეტილებაში და ა. შ.

ზოგიერთი აღმასკომი სათანადოდ არ ამზადებს ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც არსებობს ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებები და მათში ნათლად არის მოცემული განმარტებანი.

გორის რაიაღმასკომმა ორ პიროვნებას ჩამოართვა არაშრომითი შემოსავლით აშენებული სახლი. გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული მოტივები, რომლებიც ამ პირების მიმართ შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება. მთელ რიგ აღმასკომებს კი საერთოდ არ ჭქონიათ მსჯელობა ამ ბრძანებულების გატარების შესახებ.

განუზომლად გაიზარდა ადგილობრივი საბჭოების ამოცანები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველმხრივ გაფართოებასა და გაუჯობესებაში, მაგრამ ბევრი მათგანი ენერგიულად, საქმის ცოდნით არ იბრძვის ამ ამოცანათა გადასაწყვეტად. ცოტა როდია ისეთი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომლებიც არ იღებენ ზომებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ადგილობრივი ორგანოების, საგზაო მშენებლობისა და სხვა დარგების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტას მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლ



აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი

დიმიტრი გულიას დაბადების 90 წლისთავის გამო

ნახევარი საუკუნის წინათ, ჩვენი საუკუნის ათიანი წლების დამდეგს ლაც, პოეტს სრული უფლება ჰქონდა წა-
თბილისში გამოიცა დ. გულიას აფ- რმოეთქვა რწმენით და კმაყოფილებით
ხაზური ლექსების ორი კრებული. ამ აღსავსე ეს სიტყვები. აფხაზური ლიტე-
წიგნებით დაიწყო დღეს უკვე საქვეყნოდ რატურა ერთ-ერთი მკაფიო და მეტყველი
სახელმოხვეჭილი და საყოველთაოდ აღი- მაგალითია იმისა, თუ განვითარების
არებული აფხაზი პოეტის დიდი შე- როგორი განუსაზღვრელი შესაძლებლო-
მოქმედებითი ცხოვრება და ამავე კრე- ბანი გადაუშალა ჩვენმა საბჭოთა ეპოქამ,
ბულებით საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენი-
მწერლობას. მსოფლიო ლიტერატურის ნურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ჩვენი
რუკაზე გაჩნდა ახალი ეროვნული მწერ- სამშობლოს ყოველი ხალხის ეროვნულ
ლობა თავისი ღრმად თავისებური თემა- კულტურას, თვით ყველაზე მცირერიცხ-
ტიკისა და სახეების სამყაროთი, განუმეო- ოვანი ხალხებისაც კი და, მათ შორის,
რებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ისეთი ხალხებისა, რომელთაც ეროვნული
საკუთარი ჰანგებითა და საღებავებით. დღეს ამ ლიტერატურას თავის დამწერობა ოდესღაც მხოლოდ ჩვენს ეპოქა-
ადგილი უჭირავს მრავალეროვნული საბ- ში მოიპოვეს.
ჭოთა მწერლობის განვითარებაში და
წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხების სულიერ ღირებულებათა საერთო საგანძურში.

მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე დ. გულია დაეთმინებინ იმეორებდა: „მცირერიცხოვან ერს შეუძლია ჰქონდეს დიდი ლიტერატურა. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული“. თავის ავტობიოგრაფიაში პოეტი წერდა: „ვითვალისწინებ რა, რომ ყოველი ერის ადგილსა და როლს ისტორიაში ბოლოს და ბოლოს მის მიერ შექმნილი სულიერი ღირებულებანი განსაზღვრავენ, მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხთა წარმომადგენლებს, ყველაფერი გააკეთონ დიდი ხელოვნების შესაქმნელად“. ამ რწმენით იღწვოდა და შრომობდა დ. გულია. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეექმნა და ქმმარიტი ხელოვნების დონეზე აეამღლებინა მშობლიური აფხაზური მწერლობა. ამ რწმენით, მაღალი შემოქმედებითი მიზნებით აღფრთოვანება და ასეთ ნათელ საბრძოლო გზაზე გაიყოლია მან აფხაზური მხატვრული სიტყვის ოსტატთა მომდევნო თაობები. რაოდენ წრფელი სიხარულით ხაზური გაზეთისა და, მაშასადამე, აფხაზური ბეჭდვითი სიტყვის ფუძემდებელიც. მან ჩამოაყალიბა პირველი აფხაზური დასიც და ამით სპოვეთ დაუდო აფხაზურ თეატრალურ ხელოვნებას, დიმიტრი გულიამ პირველმა დაწერა აფხაზეთის ისტორია, შექმნა პირველი მეცნიერული ნაშრომები აფხაზური ეთნოგრაფიის, ლინგვისტიკის, ლექსიკოგრაფიის დარგებში.

ასე სრულად და მრავალმხრივად მოიცავდა დიმიტრი გულია თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ფარგლებში აფხაზი ხალხის სულიერი ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროს. ჭეშმარიტად ფენომენად მოიძებნება კულტურის ისეთი მოღვაწე, რომელსაც ისეთი მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი როლი შეესრულებინოს თავისი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, როგორიც შეასრულა დ. გულიამ აფხაზური კულტურის განვითარების ისტორიაში.

უკვდავი უკრაინელი კობზარი ტარას შევჩენკო ამბობდა, ჩემი ცხოვრების ისტორია ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილიაო. სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები გულიას მიმართ. თავისი ცხოვრებითაც, მოღვაწეობითაც, მხატვრული შემოქმედებითაც დ. გულიამ განასაზღვრა და გამოხატა თავისი მშობელი ხალხის ისტორიული ხვედრი, მისი ეროვნული ბუნება, უდრეკი თავისუფლებისმოყვარეობა — მისი ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებანი.

უღარიბესი გლეხის პირმშომ დ. გულიამ ბავშვობაშივე განიცადა ის მწარე ხვედრი, რომელიც მშრომელ ხალხს წ�არგუნა თვითმპყრობელურ-მემამულურმა წყობილებამ. ოთხი წლისა იყო იგი, როდესაც მის ოჯახს „მახაჯირობის“ საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს. პოეტის მეხსიერებაში სამუდამოდ და მწარედ აღიბეჭდა ის თავგანწირული, სასიკვდილო ხიფათთან დაკავშირებული ბრძოლა, რომლითაც მისი მშობლები საძულველი თურქეთიდან მშობელ ქვეყანას უბრუნდებოდნენ. თავის ავტობიოგრაფიულ პოემაში „ჩემი კერა“, დ. გულიამ ამაღლებულებად მოგვითხრო ბავშვობის წლებში განცდილ ამ ბედის უკუღმართობათა შესახებ. ხოლო ავტობიოგრაფიულ მოთხრობებში გვიამბო, თუ რა ვაივაგლახით შეძლო მან — ღარიბ გლეხის შვილმა — მიეღწია თავისი უმაღლესი ოცნებისათვის — მიეღო დაწყებითი განათლება მაინც იმ დროს, როცა სასწავლო დაწესებულებათა კარები ყრუდ იყო დახშული ღარიბი ხალხისათვის და მით უმეტეს „მოუნათლავი“ აფხაზი გლეხებისათვის. ოშვიათი ნიჭისა და ბეჯითობის მიუხედავად დ. გულიამ ვერ შეძლო საშუალო სასწავლებლის დამთავრება. მის ნამდვილ სკოლად, როგორც თვით პოეტი ამბობს, ცხოვრება და წიგნები იქცა. უკვე 16-17 წლის ჭაბუკი ჩაება შრომითს ცხოვრებაში. ხან აფხაზეთის სოფლებში მასწავლებლობა, ხან სოხუმის სხვადასხვა სასწავლებელში, ხან თარჯიმნად მსახურობდა სხვადასხვა საერო და სასულიერო უწყებებში. მაგრამ მის უსაყვარლეს მოწოდებას და მთავარ მისწრაფებას უმთავრესად კულტურული მოღვაწეობა და მხატვრული შემოქმედება წარმოადგენდა. მრავალ გადაულახავ სიძნელესთან იყო დაკავშირებული ეს არჩევანი. მეფის ველური კოლონიური პოლიტიკით და ფეოდალური ტირანიით დატანჯული აფხაზი მშრომელი ხალხის ერთგული შვილი მართლაც ოშვიათი სულიერი გმირობითა და ქედუხრელი რაინდობით მიიკვლევდა გზას ამ მაღალი და კეთილშობილური იდეალისაკენ. თავისი ლექსების წიგნებს პოეტი საკუთარი შრომით მოპოვებული მცირედი სახსრებით ბეჭდავდა, უფასოდ ურიგებდა ნაცხობ-მეგობრებს და დიდი ვაივაგლახით ავრცელებდა ხალხში. ეს ხომ პირველი წიგნები იყო აფხაზურ ენაზე, ხოლო აფხაზმა ხალხმა, მისმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ წერა-კითხვა არ იცოდა.

თავის პირველსავე ლექსებში დ. გულიამ მომავალდინებულად ამხილა ხალხის მძარცველი და ძრაგვრელი რეაქციული ძალები და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიწვია ისინი. ერთ-ერთ თავის ადრინდელ ლექსში („ძვირფას ქმნილებას“) პოეტმა შექმნა ღრმა განზოგადებითი ძალის მხატვრული სახე, რომელშიც გამოხატა იმდროინდელი ცხოვრების ზედაპირზე მოპარპაზე ბნელი, პარაზიტული ძალების ვერაგული ბუნება და გამოთქვა ხალხის ზიზღი და სიძულვილი ამ ძალებისადმი.

მასში საოცრად შერთვია,
სიმხეცეს ფარისევლობა,
ყველას მობეზრდა, გულს ურევს,
იმისი ენამეკვირობა.
და მისი სახე მნახველში,
ბადებს ამ განწყობილებას:
სჯობს, რომ სამარეს მიიღოს
ეს დაწუვეული ქმნილება.

ამ „დაწყველილ ქმნილების“, — დრომოჭმული, ისტორიის მიერ დასაღუბავად განწირული, მაგრამ ჯერ კიდევ გავლენიანი ბოროტი სოციალური ძალის დაუნდობელი მხილება შეადგენდა დ. გულიას რევოლუციამდელი პოეზიის მთავარ პათოსს.

იგი ღირსებადაკარგული დიეტეტება,
გაცვითა ჩოხა, მაგრამ ცხვირწინ ვერ
იხედება,
იგი დამცირდა, ხალხის თვალში
დაპატარავდა,
ტრაბახობაში და ქეიფში გაჭაღარავდა.

ძაფრი პოეტური საღებავებით ხატავდა დიმიტრი გულია გარეგნულად ზვიადს, მაგრამ არსებითად დაცარიელებულ, საბოლოოდ დაცარიელებულ, ყველგვარი დადებითი ეროვნული და შინაგანრისისაგან დაცლილ, დრომოჭმულ ადამიანებს. ლექსში „დიდი ხოჯანი“ პოეტის ამ ამმხილებელმა მიზანსწრაფვამ მწვავე სატირულ ელფერას მიაღწია:

მაგრამ გულქვაა ხოჯანი ჩვენი,
ხალხს გაუმწარა სიცოცხლის დღენი,
ურცხვად გაძარცვა სოფელი მთელი,
ქვრივს, ობოლს, ღატაკს — ვინა ჰყავთ
მცველი?
დიდი ხოჯანი ხალხში ღვარძლს
სთესავს,
მას არ აწუხებს ღატაკთა კვნესა,
არის ბოროტი, აშარი, ავი,
ეს კაცთმოძულე და შფოთის თავი.

მაგრამ ამასთანავე პოეტი ნათლად ხედავდა საძულველი სამყაროს მოახლოებულ და გარდუვალ აღსასრულს. პოეტის ფანტაზია წრფელი სიხარულით წარმოიდგენდა უკვე საფლავში ჩამარხულ ხოჯანს და ულმობელი გაკიცხვით მიმართავდა:

ეგ რა მოგხვლია, ჰე, ხოჯან, მითხარ?
ვერ იპარპაშე ამ ქვეყნად დიდხანს?
დაგიქნა ბაღი, უბადრუკს გევხარ,
დაგიქცა ოდა, საფლავში წეგხარ!

პოეტის ამგვარ ლექსებში გამოხატულებას პოულობდა ხალხის ოცნება ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე. ალეგორიული შინაარსის ლექსში „ბუსკა და ლომა“ პოეტმა საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი, მომწოდებელი სიტყვით მიმართა მონური ხვედრით გამწარებულ და მოთმინებადაკარგულ ხალხს:

ძალა გაქვს ლომური, უდრეკი,
ულლელი,
რათ უნდა ითმინო მონური უღელი?

პოეტი ნათელი მომავლის რწმენითა და იმედით ამხნევებდა მშრომელ ხალხს, ლექსი „აბრსკილ“, რომელშიც აღწერილია მაღალ მთაზე მოჯავეული გმირის — აფხაზური ამირანის ქედუხრელი ბრძოლა სისხლისმსმელი ბოროტი ძალების წინააღმდეგ, მთავრდება ასეთი გამამხნევებელი რწმენითა და იმედით შთაგონებული მეტაფორით:

ამობეენ, რომ მძიმე ხვედრით
გმირი დღემდე იტანჯება,
ბნელ მღვიმეში მოჯავეული,
ზვების ნათელს ელოდება
ამშინ ნახეთ — გმირთა გმირმა
მოიაროს ზღვა და ხმელი
და სიკეთის დიდმა მოძმემ
გაუწოდოს ჩაგრულს ხელი.

მარტო ეს სტრიქონებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ღრმა სულიერი ნათესავობით იყო დაკავშირებული დიმიტრი გულია ქართული რეალისტური ლირიკის კრიფეების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედებით ტრადიციებთან, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დ. გულიას პოეტური მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის ქართულ კლასიკურ პოეზიას, აფხაზურ პოეტურ ფოლკლორთან, რუსულ და ევროპული პროგრესული კულტურის დიდ ტრადიციებთან ერთად. სოციალური და ეროვნული მონობის ბნელ და სუსხიან ხანაში დ. გულია შეახროდა და უმღეროდა სიკეთითა და თავისუფლების უძლეველ სიმბოლოდ დასახული გმირის — მშრომელი ხალხის გამარჯვებას, ნათელ მომავალს და, როცა პოეტის ეს შთაგონებული განკურნებელია, ოოცა ეს ნანატრი მომავალი ამობრწყინდა ჩვენს სამშობლოში, პოეტმა მთელი გულით გაიხარა. ამიერიდან მისმა შემოქმედებითმა ძალამ დაუბრკოლებლივ და ლაღად გაშალა ფრთები. პოეტი თავისი აღორძინებული, თავისუფლების მზით განათებული სამშობლოს დაუცხრომელ მომღერლად და მეხოტბედ იქცა.

მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი —
ცაა ნაზი, —
ოქროს თასი!
... ჰე, საჩქაროდ უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო,
სულ პატარა კუთხე, წყნარი, —
აჭართველოს ტურფა მხარის.

დიმიტრი გულიას ლექსი „ბოლშევიკური სიტყვა“ საბჭოთა პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მასში ჭეშმარიტი პოეტური გზნებით და მეტყველი მეტაფორულობით არის გამოთქმული კომუნისტური პარტიის ყოვლისმძლე იდეების ცხოველმყოფელი ძალა, მათი მანათობელი და ამამაღლებელი მნიშვნელობა ხალხთა ცხოვრებაში:

ის ხალხში მუდამ გიზგიზებს ალათ,
ცხოვრების უკვდავ სიბრძნედ
ცნობილი.
მტკიცეა მისი მოქმედი ძალა,
ბრძოლის ცეცხლშია გამოწრთობილი.
შუქივით ფანტავს ნისლიან დღეებს,
ავდარს გარდაქმნის ნათელ ტაროსად,
ვზებით გაიაბს გაუვალ კლდეებს,
მზეს გვიახლოებს სანეტაროსა.

გულიას პოეტურ შემოქმედებაში ფერადოვნად, ხატოვნად არის ასახული ჩვენი ქვეყნის ახალი ყოფა-ცხოვრება, ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული შემოქმედებითი შრომა, სამშობლოს წარმატება და მომხიბვლელი პეიზაჟები, ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ დამკვიდრებული „დიდი გაზაფხული“. მხცოვანი პოეტი ქმნდა სატრფიალო ლირიკის საუცხო ნიმუშებს, წერდა მოზარდი თაობისათვის. ყოველი მისი ნაწარმოები მაღალი ჰუმანური იდეალებით არის შთაგონებული.

ამრავალი ამაღელვებელი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდეს იდეას. წრფელი თანაგრძნობით ხედავდა იგი კაპიტალისტური სამყაროს მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლას, გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა მათ.

თქვენთვისაც ძმებო, დარეკავს ეამი
და გაგეშლებათ გულში ყვავილი.
ვით პეტროგრადში,
თვე ოქტომბერის
თქვენს ქუჩებშიაც მალე ჩაიკლის!

ამოოწურავად მდიდარი და მრავალფეროვანია დ. გულიას პოეტური შემოქმედების თემატიკა. მან გაამდიდრა მშობლიური აფხაზური ლიტერატურა რუსული და მსოფლიო პოეზიის მრავალი საუკეთესო ნიმუშის შესანიშნავი თარგმანით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ტიტანური შემოქმედებითი შრომა, რომელიც გასწია დ. გულიამ აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნისათვის.

ძვირფასი და აგრეთვე ფუძემდებლური წვლილი შეიტანა პოეტმა აფხაზური მხატვრული პროზისა და დრამატული მწერლობის განვითარებაში, მისი „პატარა მოთხრობების“ ციკლი და, განსაკუთრებით რომანი „კამაჩიჭი“ არა მარტო აფხაზური, არამედ მთელი საბჭოთა მხატვრული პროზის თვალსაჩინო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. „ომამდელ მაჭიშში“ მწერალმა დახატა აფხაზი მშრომელი ხალხის რევოლუციამდელი ყოფაცხოვრების კოლორიტული, ღრმად ტიპიური სურათები და შექმნა თავისი ღირსებისა და თავმოყვარეობის დასაცავად თავგანწირული მებრძოლი ახალგაზრდა გლეხი ქალის მომხიბვლელი სახე, რომელსაც დიდი განზოგადებითი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ასევე მაღალი შეფასების ღირსია დ. გულიას საუკეთესო დრამატული ნაწარმოები „აჩრდილები“, რომელშიც გორკისებური რეალისტური სიმძაფრით არის ნაჩვენები, თუ რამდენად ბოლავდა და ამახინჯებდა ადამიანის ბუნებას კერძოსაკუთრული წყობილების მანკიერება.

დ. გულიას მრავალი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ, ქართულ და ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხების ენებზე და შესულია მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ფონდში. მის სახელს წრფელი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ მთელ ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოში. განსაკუთრებით მახლობელია მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველი ხალხისათვის, რადგან ამ შემოქმედების მთავარი გმირის — აფხაზი ხალხის ცხოვრება ყოველთვის განუყოფელ იყო და არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრებასთან.

მოძმე აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ დღეს ჩვენ მივმართავთ დ. გულიას იმ ლექსის სტრიქონებით, რომელშიც მან პოეტი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირულ მეომარს შეადარა:

ხალხის პოეტო, შენც გმირის მსგავსად
ხომ შეასრულე მიზანი წმინდა?
შენც მტრის მაღლობებს უჩენდი
ხანძარს,
ვით იმ ჯარისკაცს, სამშობლო
გზრდიდა.
და თუ შენც, მსგავსად იმ ალამდარის,
დაეცი — დროშას დაბლა ვინ დახრის?
მწვანს — გაიხარეს საფლავშიც მკვდარი.
არ დაგივიწყებს მშობელი ხალხი.

არა მარტო მისი მშობელი აფხაზი ხალხი, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ღრმა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით მოსავს დიმიტრი გულიას ძვირფას და დაუვიწყარ სახელს.

ბესარიონ ჟღენტი.

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა უშიშროების საბჭოს სხდომა კვიპროსის საკითხზე, რომელიც განიხილავს კვიპროსის მთავრობის საჩივარს იმის გამო, რომ თურქეთი საფრთხეს უქმნის კვიპროსის რესპუბლიკის არსებობასა და ტერიტორიულ მთლიანობას; განიხილავენ აგრეთვე ინგლისის მუდმივი წარმომადგენლის წერილს. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა, მტკიცედ მოითხოვა, რომ პირველი სიტყვა მიეცეს კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრს. მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ ბერნარდსმა (ბრაზილია) პირველი სიტყვა საკითხის არსის შესახებ მისცა ინგლისის წარმომადგენელს პატრიკ დინს.

პატრიკ დინმა ვრცლად გააშუქა კვიპროსის კრიზისის გამწვავების ისტორია, აშკარა უპირატესობა მისცა თურქეთის ვერსიას.

კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კობრიანუმ დაიტოვა უფლება უპასუხოს ინგლისის დელეგატის მტკიცებას. მაგრამ მან აღნიშნა, რომ მრავალი ათწლეულის მანძილზე კვიპროსის ბერძნები და თურქები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და რომ ახლანდელი შეტაკებანი გარეგან სიხტემატური პროვოკაციების შედეგია. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ ვერავითარი შეთანხმება ვერ მისცემს უფლებას უცხოთის სახელმწიფოებს

ᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲥᲠᲐ, 19 თებერვალი. (საკდესი). განის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ ეთიოპიის იმპერატორს ჰაილე სელასიე I-ს და სომალის პრეზიდენტს ადენ აბდულა ოსმანს დაბეჯითებით მოუწოდა შეწყვიტონ სასაზღვრო შეიარაღებული შეტაკებანი ამ ორ ქვეყანას შორის.

„მე მინდა, — წერს კვამე ნკრუმა, — ერთხელ კიდევ საქვეყნოდ მოგმართოთ თქვენ და მოგიწოდოთ უზრუნველყოთ დაცვა შეთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აფრიკის ერთობისა და სოლიდარობის ინტერესებისათვის“.

ᲙᲐᲚᲐᲓᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ძალადურ გავლენას ახდენენ სხვა ქვეყნებზეც, რათა აიძულონ ისინი უარი თქვან ვაჭრობაზე კუბის რესპუბლიკასთან.

გუშინ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები შეუწყვეტენ დახმარებას ინგლისს, საფრანგეთსა და იუგოსლავიას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნებმა არავითარი ღონისძიებანი არ გაუსახორციელეს, რომ რათა თავიანთი გემებისა და თვითმფრინავებისათვის აეკრძალათ საქონლის შეტანა კუბაში.

ᲕᲘᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲠᲝᲙᲤᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). ლოს-ანჯელესის პოლიციამ დააპატიმრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად ნელსონ როკფელერის დასახელების კომიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი. დაპატიმრებული — ვარნერ ლოფტუსი როკფელერის წინასაარჩევნო კამპანიაში მჭიდფარე მოღვაწეობის წარმატებით ახორციელებდა ბანკების გაძარცვასთან. მილიარდერის ამ მომხრეს ბრალად წაუყენეს სამი საფოსტო განყოფილებისა და 12 ბანკის გაძარცვა, სადაც მან ორ კომპანიონთან ერთად გაიტაცა სულ 68 ათასი დოლარი.

პრეზიდენტობის კანდიდატად როკფელერის დასახელების კომიტეტის ხელმძღვანელებმა საჩქაროდ დაითხოვეს ლოფტუსი სამუშაოდან, რადგან უსაფუძვლოდ როდი ეშინოდათ, რომ ასეთი დამნაშავის საქმიანობამ შეიძლება ავნოს როკფელერის წინასაარჩევნო კამპანიას.

ᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲥᲠᲐ, 19 თებერვალი. (საკდესი). ანგლიელ პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტ ფუად შეკბს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა სთხოვა პრემიერ-მინისტრსა და მისი კაბინეტის წევრებს დროებით განაგრძონ თავიანთი მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის შედგენამდე.

ამავე დროს პრეზიდენტმა შეკბამ გამოსცა ბრძანებულება პარლამენტის დათხოვნის შესახებ და დანიშნა პარლამენტის ახალი არჩევნები. ეს არჩევნები მოეწყობა ოთხ ეტაპად 5 აპრილიდან 3 მაისამდე.

ᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲐᲥᲠᲐ, 19 თებერვალი. (საკდესი). ანგლიელ ეგლაუჭეგა ეგიპტელ ეგლაუჭეგ ეგიპტელ ეგლაუჭეგ ეგიპტელ ეგლაუჭეგ

ქართული კულტურის მუზეუმი

ოპერა „აბესალომ და ეთერის“ 45 წლისთავის გამო

45 წელი შესრულდა, რაც თბილისში დაიდგა ჩვენი საყვარელი ოპერა, ჩვენი სიამაყე — „აბესალომ და ეთერი“. ზაქარია ფალიაშვილმა ქართველ ხალხს აჩუქა მუდამ საგოგმანო და საალერსო მუსიკა, რომელშიც გამოსახა ჩვენი ერის ბირთვარამი, სევდა, გაცისკროვნებული სიხარული. 45 წელია, რაც ყოველ ესტრადაზე, სიმფონიური მუსიკის კონცერტზე, რადიოგადაცემაში, ოპერის თეატრის ყოველ სეზონში გაისმის ამ უკვდავი ოპერის, მშრომელი ხალხის ყველა ფენისათვის მისაწვდომი და საყვარელი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი ჰანგები. ეს შესანიშნავი ნაწარმოები მაგალითი შეიქნა მომავალი თაობების ყველა შემოქმედისათვის, მუსიკის ყველა მოღვაწისათვის.

„აბესალომ და ეთერის“ დადგმას სიხარულით შეეგება ქართველი ხალხი, მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. სპექტაკლი-სპექტაკლზე მიდიოდა, მაყურებლები ბილეთებს ვერ შოულობდნენ. ასეთი დიდი იყო აბესალომის მუსიკისადმი ლტოლვა როგორც მსმენელებში, ისე შემსრულებლებში.

ლიბრეტო ოპერისა ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგს პეტრე მირიანაშვილს, რომელმაც ამისათვის ქართული ხალხური ზეპირი სტუდიერების შესანიშნავი ნიმუში „ეთერიანი“ გამოიყენა, თავის დროზე ჩვენი საუკეთესო ფოლკლორისტების მიერ შეკრებილი და გამოქვეყნებული.

ოდესღაც ოპერა მიუძღვის ოპერის დადგმის საქმეში საოპერო თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელს, გამოჩენილ ქართველ რეჟისორს ალექსანდრე წუწუნავას.

პირველ სპექტაკლში ეთერის როლს ასრულებდა ო. ბახუტაშვილი-შულგინა, აბესალომისას — ზალიპსკი, მურმანი იყო სანდრო ინაშვილი, მარეხი — გრანელი, აბიო — ქურხული, მხატვარი—ზალცმანი. პირველი სპექტაკლი თვით ოპერის ავტორს მიჰყავდა.

შემდეგ სპექტაკლებში თანდათან ჩაერთვნენ საქართველოს ბულბული, გამოჩენილი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, დავით ანდღულაძე, ნიკო ქომსიაშვილი. დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, გრ. გრიგორაშვილი, ნ. ბოკოვა, ე. გოსტინნა, გ. შმალცელი, ო. ნინოა-ცაგურია, ნ. ხორავა, ნ. ცომაია, მ. ნაკაშიძე, ვ. ჭაბაკაშვილი, გ. ბენაძე და ბევრი სხვა.

შემდეგში ოპერაზე ბევრს მუშაობდნენ მუსიკალური ხელმძღვანელები, სახელმოხვეჭილი დირიჟორები: ვანო ფალიაშვილი, ევგენი მიქელაძე, შალვა აზმაიფარაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი და სხვები.

ამ ოპერის პირველ ვარიანტს ერთგვარი ხარვეზებიც ჰქონდა. მაგალითად, ეპიზოდური მესამე აქტი ბელიაო-ეშმაკის მონაწილეობით, მისი დიდი, გაჭიანურებული არია, მარიხ-ვარსკვლავის არია „შუქურ-ვარსკვლავო“, რომელიც შემდეგში კომპოზიტორმა ოპერა „დისში“ გადიტანა, გუნდის მონაწილეობა აბესალომისა და მურმანის გასაუბრება — დუეტში — „ბურმან, მურმან, შენსა მზესა“ და სხვა, რომელთა შესახებ ოპერის კეთილსმსურველები წერდნენ, რომ თუ ოპერა განთავისუფლდა ზედმეტი გადატვირთვისაგან, „დადგება ნამდვილი თაჟანკარა ნაკადი მუსიკალური შემოქმედებისა“. სპექტაკლი იწყებოდა რვის ნახევარზე და თავრდებოდა ღამის ორ საათზე. ერთი-ანტრაქტი 1 საათსა და 12 წუთს გრძელდებოდა.

ვინც შემოქმედის ცხოვრება იცის და შემოქმედის მხატვრულ მეთოდს, ავტორის ფსიქიკას იცნობს, იმან ისიც უნდა იცოდეს, რომ ძნელია ავტორისათვის თუნდაც სულ უმნიშვნელოვნესნი „ამოგდება“ თავისი პირველშობილ, მით უფრო მთელი ნაწილის გაწირვა.

მაგრამ ზაქარია ფალიაშვილმა, როგორც დიდმა ხელოვანმა და რკინის ნებისყოფის ადამიანმა, „ამოაგდო“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, „აბესალომიდან“ „ეშეალთირი, რაც მას ტვირთავდა, და მეოთხე წარმოდგენა გაიმართა ბევრად შემსუბუქებული. მან თვითონვე იგრძნო ეს აუცილებლობა პირველივე სპექტაკლიდან.

ზაქარია ფალიაშვილის, ამ სახელოვანი მამულიშვილის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან ქართული მუსიკალური კულტურა პროფესიონალიზმის ნიადაგზე დააყენა, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოში საოპერო ხელოვნების ჟანრს და თანაც ფართო ასპარეზი მოუპოვა.

თუ გავითვალისწინებთ იმ შინაგან წვას და განცდებს, რომლებთანაც იგი ნაწარმოების შექმნისათვის ემზადებოდა, ფალიაშვილის პიროვნება ბუმბერაზ შემოქმედად მოგვეელინება. ზაქარიას მუშაობის მაგალითი მართლაც მისაბაძია. იგი ნამდვილ შემოქმედებითს მუშაობას მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა, როცა ყოველმხრივ შეისწავლიდა მასალას — გმირებს, ისტორიას, თქმულებებს, ლეგენდებს და თვით მონაყოლ ამბავსაც კი.

ქართულ სამუსიკო ლიტერატურაში უდიდეს სიმაღლეზე დგას ჩვენი ეროვნული სიამაყე — „აბესალომ და ეთერი“. ჯერ კიდევ ოპერის შესავლშია განზოგადებულად გადმოცემული ნაწარმოების ტრაგიკული დასასრული დედაზრი, ოპერის იდეა და ავტორის დამოკიდებულება გმირთა ეროთიერთობისადმი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ოპერის ამ პატარა შესავალში, რამდენიმე აკორდში ქართული მუსიკის დამახასიათებელი წყობით ჩაისახა ჩვენი მუსიკალური კულტურის ყველა ჟანრის შემდგომი განვითარების გზები. ადამიანი გულთრთოლებული ისმენს ოპერის მეორე აქტს, არიებს — „ვეძებდი ბედსა“ და „მე ბანი ბანად გეძებდი“, ეთერის დაავადების სცენას, აბესალომისა და ეთერის უკანასკნელ შეხვედრას. ამ დრამატულ მომენტებს კომპოზიტორმა ისეთი შემოქმედებითი სული შთაბერა და ისე აამეტყველა ისინი მუსიკაში, რომ მსმენელს არ შეუძლია აუოელვებლად მოსმენა.

„აბესალომ და ეთერი“ თავისი შინაარსით, დანიშნულებით, მელოდიური, ჰარმონიული და რიტმული ელემენტებით, მუსიკის პოლიფონიურობით, გუნდების ხმოვანების მაღალი ცოდნით, გმირთა ხასიათების ჩამოყალიბებით ზ. ფალიაშვილს მსოფლიოს გენიალურ კომპოზიტორთა რიგში აყენებს, როგორც დიდ ოსტატსა და ხალხის გულის მესაიდუმლეს. ზ. ფალიაშვილმა უკვდავი აბესალომის ქერა დაიწყო შავი რეალიების წლებში და ამ შესანიშნავი ქართული ლეგენდის გახმოვანებით მჩაგვრელთა წინააღმდეგ უდიდესი პროტესტი გამოხატა.

ძალიან მოსწრებულად თქვა მწერალმა შალვა დადიანმა, რომ ზაქარია ფალიაშვილმა საქართველოს ყველა კუთხეში მოაგროვა საუცხოო მარგალიტები ჩვენი მუსიკალური ფოლკლორისა. შემდეგ ისინი ჩექურთმებად ჩამოძერწა და ააგო უკვდავი „ბროლის კოშკი“. დღეს ყველანი ვხედავთ, თუ როგორ „ცამდე მაღალია“ იგი. დღეს ყველანი ვხედავთ, თუ „როგორ მოუღერებიათ ყელი“ ამ „ბროლის კოშკში“ ქართული მუსიკის ჰანგებს.

ზ. ფალიაშვილმა მე-19 საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის კეთილისმყოფელი გავლენა განიცადა. მშრომელი ხალხის განთავისუფლებისა და საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლის იდეებმა მძაფრი გამოხმაურება ჰპოვა დიდი კომპოზიტორის შემოქმედებაში. იგი შეურყეველად გაჰყვა ამ გზას. ზ. ფალიაშვილი უნდა შეფასდეს თავისი მუსიკის ძალის, შინაარსის, გადმოცემის საშუალებებისა და საკუთარი შემოქმედებითი ხერხების გათვალისწინებით. ამ გზით მან მუსიკაში გააკეთა ის, რაც თავიანთ სფეროში გააკეთეს დიდმა ქართველმა მწერლებმა, მხატვრებმა და თეატრის მოღვაწეებმა.

დღეს ქართული საბჭოთა მუსიკის მოღვაწენი, კომპოზიტორები, აღზრდილნი დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაზე, ნაყოფიერად შრომობენ, ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ დიდი მასწავლებლის ღვაწლს და სათუთად მოუვლიან მის უდიდეს დანატოვარს ხალხისა და სამშობლოს საკეთილდეოდ და სადიდებლად.

შალვა მშველიძე.
კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

* * *

სურათებზე: ზევიდან ქვევით — ზ. ფალიაშვილი; ვ. სარაჯიშვილი აბესალომის როლში; ს. ინაშვილი მურმანის როლში.

ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი

სურამის ლესია უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაიმართა ლიტერატურული საღამო ტ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად.

დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა სურამის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ª. ადეიშვილმა. ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობასა და მათს კულტურულ ურთიერთობაზე ილასპარაკეს მუზეუმის გამგემ ზ. ფილიევამ, მასწავლებლებმა მ. ციცქიშვილმა და ც. ბურნაძემ.

ბიბლიოთეკა-მუზეუმში მოწყობილია დიდი კობზარის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნებისა და ილუსტრაციების გამოფენა.

დ. ფარემუზოვი.

მკითხველთა კალმით

△ **თბილისის** ორჯონიკიძის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ნ. კიწმარიშვილმა წარადგინა სამმეროვანი ტანი შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაცია — № 14 სერია 094038, რომელსაც 1000 მანეთი მოგება ხვდა.

ნ. გვილავა.

△ **ფოთი** ქალაქ ტყიბულის ცენტრალურ ქუჩაზე დამთავრდა ხუთსართულიანი 50-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აქ ნათელი, ვრცელი ბინები მიიღეს მეშახტეთა და მახტმშენებელთა ოჯახებმა.

ა. ბალდავაძე.

ესპანელი პიანისტი თბილისში

ცნობილი ესპანელი პიანისტი ხოსე ტორდესილიასი, რომელიც ბაქოსა და ერევანში გასტროლების შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა, დიდი წარმატებით გამოვიდა თბილისში. ქართველი მუსიკის მოყვარულნი პირველად გაეცნენ ესპანელი კომპოზიტორების ტერინისა და ხალფტერის შემოქმედებას.

20 თებერვალს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში გაიმართა ესპანელი პიანისტის შეხვედრა ქართველ კომპოზიტორებთან და მუსიკოსებთან. ტორდესილიასი ესაუბრა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. მაჭავარიანს. შემდეგ მან მოისმინა ქართველ ავტორთა მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები. ხოსე ტორდესილიასი აღტაცებული იყო ბ. ბალანჩივაძის კონცერტით. მან დიდად შეაფასა აგრეთვე ს. ნასიძის კონცერტი.

— ქართულ ხალხურ სიმღერებს, — თქვა ესპანელმა პიანისტმა, — ბევრი რამ აქვს საერთო ბასკონის სიმღერებთან — იგივე წყობა, იგივე რიტმი, თითქმის ერთნაირი ჟღერადობა.

ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლემ ნანა იაშვილმა შეასრულა ª. მაჭავარიანის „რომანსი“ და „დოლური“, თ. ბაქრაძის „ცეკვა“.

ქართველმა კომპოზიტორებმა ხოსე ტორდესილიასს აჩუქეს თავიანთი ნაწარმოებების ნოტები, ტორდესილიასი მათ დაპირდა, რომ ესპანეთში თავის კონცერტებზე შეასრულებს ამ ნაწარმოებებს. (საქ‌დესი).

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

შეხვედრა მეზღვაურებთან

ფოთის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა ლატვიის გემთსამმართველოს გემმა „მტკვარმა“, რომელმაც კუბიდან ჩამოიტანა ანანასი და ბანანი.

ნავსადგურის მუშაკებმა შეხვედრა მოუწყეს გემის ეკიპაჟის წევრებს. გემის კაპიტანმა ი. ტომპსონმა, მისმა თანაშემწემ ª. რაზინმა და სხვებმა ფოთელ მასპინძლებს მოუთხრეს თავიანთ შორეულ რეისებზე, იმ დიდ წარმატებებზე, რასაც კუბელი ხალხი აღწევს სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. თავის მხრივ მასპინძლებმა ლატვიელ მეზღვაურებს გააცნეს შვიდწლიდის დავალებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები, გადაასცეს მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა, გაუმართეს კონცერტი.

ტვიფრთის ჩქაროსნული გადამუშავებით გემი რამდენიმე საათით ადრე დაიცალა და მორიგი რეისით გაემართა.

კ. კომპახიძე.

მაღაროელები—კურორტებზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). ასობით მაღაროელი ისვენებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მარტო ლენინის სახელობის მაღაროდან სანატორიუმებში გაეგზავნება 200-ზე მეტი მაღაროელი. ბევრმა მაღაროელმა იანვარ-თებერვალი საუკეთესო კურორტებზე გაატარა. გ. ჩაჩანიძე პიატიგორსკში იყო, უ. ბიწაძე — გაგრაში, პ. ლისენკო და ა. პონომარენკო — სოჭში, ბ. გაბარაშვილი და ი. გაფრინდაშვილი — ცაიშში, ა. ბერეზინი — წყალტუბოში, გ. ასანიძე — ბორჯომში, თ. პონომარენკო — ქედელეხოვდსკში და სხვ.

მაღაროელებმა კარგად დასვენეს და წარმატებით შეუდგნენ შრომას.

მოძრავი ზოოპარკი ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). შვიდი წელია არსებობს როსტოვის მოძრავი ზოოპარკი. ამ ხნის განმავლობაში იგი ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იყო. მოძრავ ზოოპარკში 50-ზე მეტი ცხოველია. აქ წარმოდგენილი არიან დედამიწის მრავალი კუთხის მკვიდრები.

ერთ თვეზე მეტია, რაც მოძრავი ზოოპარკი ბათუმში იმყოფება. მას ყოველდღიურად ბევრი მნახველი ჰყავს. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას ირენენ პატარები. ისინი დიდხანს ჩერდებიან და ინტერესით ათვალიერებენ იამაიკის მაკაკებს, ტიბეტის ახვარს, თოვლის ჯიქს, ეეფხვს „აქილეესს“, ლომს „გერტას“, ზოლიან ზებრასა და სხვ.

ბათუმელებს ისიც აინტერესებთ, თუ როგორ მოხვდა გალიაში ლომი „სამსონი“, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ ცირკის არენაზე გამოდიოდა. ზოოპარკის თანამშრომელი მნახველებს მოუთხრობს, რომ ლომი ალარ იმორჩილებოდა თავის პატრონს, ცნობილ მომთვინიერებელ ი. ბუგრიმოვას და მან იგი „პენსიაზე“ გაუშვა. მაგრამ „სამსონი“ აქაც კარგად გრძნობს თავს.

როსტოვის მოძრავი ზოოპარკი უკვე 10 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ცნობები ანგარიშიდან

ლენინგრადი, 19 თებერვალი. (საკ‌დესის „კორ.). საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის გაერთიანებული ექსპედიციის მონაწილეებმა, რომლებიც მიდიან მარშრუტით ალმოსავლეთი-მირნი, 131-ე კილომეტრს მიაღწიეს.

მეცნიერული მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდება გზაში. საბჭოთა და ფრანგი გლაციოლოგები სისტემატურად აღნიშნავენ ანტარქტიდის ყინულის ფარის გადანაცვლებსა და დეფორმაციას.

მირნიდან რადიოთი იუწყებიან, რომ მეექვსე კონტინენტზე იგრძნობა მოახლოებული ზამთარი. ღამით ტემპერატურა მინუს 15 გრადუსამდე ეცემა ცელსიუსით. დღისით მინუს 7-8 გრადუსია. დილით ქვენა ქრიბუქია.

ყაიმეგის ტური

მოსკოვის ზონალურ ტურნირში ექესი-გროსმაისტერი და ერთი საერთაშორისო ოსტატი განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას.

გუშინ შედგა მესამე ტური. გროსმაისტერი რ. ხოლმოვი, რომელიც პირველ ორ ტურში ჩინებულად თამაშობდა, ამჯერადაც განწყობილი იყო აგრესიული ასპარეზობისათვის. მართალია, დ. ბრონშტეინმა თეორებით დებიუტიდან გარკვეული უპირატესობა მიიღო, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა. ხოლმოვმა შეძლო წონასწორობის აღდგენა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

ორმხრივი იერიშებით აღინიშნა კორჩნოისა და შტეინის პარტია. 30-ე სვლაზე მეტოქეენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრძოლის გაგრძელება ზედმეტი იყო და აქაც ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

მესამე პარტია სპასკისა და გელერს შორის მეორეჯერ გადაიდო, მისი დამთავრება მოხდება დღეს.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობას ქალავ რ. ხოლმოვი ინარჩუნებს, რომელსაც 2,5 ქულა აქვს.

ვინ იქნება ჩემპიონი?

როგორც ცნობილია, ქალთა საპაოლაკო პირველობას, რომელიც ბაქოში მოეწყო ჩემპიონი არ გამოუვლენია. ბაქოელმა საერთაშორისო ოსტატმა ტ. ზატულოვსკაიამ და ტალინელმა მოჭადრაკე მ. რანიკუმ პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს.

ჩემპიონის გამოსაღლინებლად მოსკოვში დაწყო ამ ორი მოჭადრაკის მატჩი, რომელიც ექვსი პარტიისაგან შედგება. თუ მეტოქეებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა შეაგროვეს, შეჯიბრება გაგრძელდება პირველ გამარჯვებამდე.

უკვე გათამაშდა ორი პარტია. ორივე შეხვედრაში ბრძოლა შეუპოვარი იყო, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დამთავრებულა. გადადებულ პარტიებში პოზიციურ უპირატესობას ტალინელი მოჭადრაკე ინარჩუნებს.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ორივე პარტია მ. რანიკუმ მოიგო. ანგარიშია 2 : 0.

სსრ კავშირი—ბრაზილია

ბრაზილიაში დიდ ინტერესს იწვევს მომავალი შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ჭაბური ფეხბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დროს, რომელიც მაისში აღინიშნება.

ახლა რიო-დე-ჟანეიროში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ბრაზილიის ნაკრებს განზრახული აქვს საპასუხო ვიზიტით ჩავიდეს საბჭოთა კავშირში. ეს ვიზიტი დაკავშირებულია ბრაზილიელების მზადებასთან მსოფლიოს VIII ჩემპიონატისათვის.

ბრაზილიელთა ეს საინტერესო ვიზიტი ყაბჭოთა კავშირში განზრახულია 1965 წლის ივნისისათვის. მსოფლიოს ჩემპიონი სამჯერ შეხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

გარდა საბჭოთა კავშირისა, ბრაზილიელები ევროპის ბევრ ქვეყანაშიც იმოგზაურებენ და ეროვნულ ნაკრებებს შეხვდებიან.

ნ. ა. ქინქლაძე



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნადიეჟდა ალექსანდრეს ასული ქინქლაძე.

ნ. ა. ქინქლაძე დაიბადა 1892 წელს ქ. ქუთაისში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1910 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ოთხ ათიოდ წელზე მეტი ხნის მანძილზე უმწიკლოდ ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

1912-1919 წლებში ნ. ა. ქინქლაძე მუშაობდა მასწავლებლად ქ. ქუთაისში, 1920-1924 წლებში — ქ. ბათუმში, ხოლო 1928 წლიდან — ქ. თბილისის სკოლებში. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ჯერ მე-9, შემდეგ მე-2, ხოლო უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მე-14 (შემდგომში მე-20) საშუალო სკოლებში.

1948 წელს ნ. ა. ქინქლაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სატიტო წოდება, ხოლო 1949 წელს განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა „სპატიო ნიშნის“ ორდენით.

ღვაწლმოსილი პედაგოგის, მოზარდი თაობის მზრუნველი აღმზრდელის, სპეტაკი, უმწიკლო და შრომისმოყვარე ადამიანის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მის მრავალრიცხოვან აღზრდილთა, ამხანაგთა და მეგობართა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სპორტი უცხოეთში

„არსენალი“ ეხმარება რასისტებს

ლონდონი, (საკ‌დესი). ინგლისის ერთ-ერთმა ცნობილმა ფეხბურთის კლუბმა „არსენალმა“ მიიღო წინადადება მიმდინარე წლის მაისში რამდენიმე თამაში მოაწყოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. რასისტული წესების სრული შესაბამისობით, რასაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თეთრკანიანთა მთავრობა ნერგავს სპორტში, „არსენალის“ ფეხბურთელები ითამაშებენ მხოლოდ „თეთრკანიანთა“ გუნდების წინააღმდეგ, უუდიტორიის წინაშე, რომელიც მკაცრად იქნება გაყოფილი „ფერადკანიანებად“ და „თეთრკანიანებად“.

ყოველივე ეს აღინიშნა წერილში „არსენალისადმი“ აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობის“ ორგანიზაციამ. იგი ხაზს უსვამს, რომ ამ გამგზავრებით „არსენალი“ ძირს უთხრის პროგრესული საზოგადოებრიობის მეცადინეობას რასიზმის თარეშის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ს. ამდულმა განაცხადა, რომ გამგზავრება „რასისტების მხარდაჭერა“ იქნება.

სინანულოთ უნდა აღინიშნოს, რომ აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლთა კეთილშობილური მიზნები სრულიად უცხოა „არსენალის“ ხელმძღვანელობისათვის. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ბილ რაიტმა, როგორც დღეს „დილი უორკერი“ იუწყება, განაცხადა, რომ ტურნე მოეწყობა.

არც კი შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ ეს გადაწყვეტილება წყენას იწვევს და მას გმობს მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა. ასეთი სპორტული „კონტაქტები“ ხელს ვერ შეუწყობს მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს შორის, ხელს ვერ შეუწყობს იმ საქმეს, რომელიც მსოფლიოს სპორტულმა ახალგაზრდობამ დიდი წვლილი შეიტანა.

სპორტული ქრონიკა

△ **ბოსფლიოს** მორიგი პირველობის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში მოეწყობა დორტმუნდში (გფრ). ამ ასპარეზობაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, აგრეთვე ტ. ეუკი და ა. გავრილოვი, ტ. შარონოვა და ა. გორელიკი. ერიეულთა ასპარეზობაში გამოვა ვ. მეშკოვი. საბჭოთა ფიგურული მოციგურავეები დორტმუნდში გაემგზავრნენ.

△ **მართალია,** კრიზი ევროპის თასის გათამაშების ბედი გადაწყდა სსრ კავშირისა და ბოლონეთის გუნდების ორ მატჩში, სადაც გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ, მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ გამოსარკვეველია, თუ ვინ იქნება ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მესამე საპრიზო ადგილს ერთმანეთს ეცილებიან ბულგარეთისა და გდრ-ს გუნდები. მეტოქეთა პირველი მატჩი სოფიაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 8 : 2. მეორე შეხვედრა მოეწყობა ბერლინში 28 თებერვალს.

გოლოვანოვის მსოფლიო რეკორდი

ხაბაროვსკი. (საკ‌დესი). არმიელმა ქვემძიმე წონის შტანგისტმა ვ. გოლოვანოვმა (ხაბაროვსკი), რომელიც ზორგულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის პირველობაზე გამოდიოდა, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — ამიმა 163,5 კილოგრამი და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე ადრინდელი რეკორდი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲨᲔᲛᲝᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

მაამაცი მონადირეები

ზამთრის ერთ დილას სოფელ ხანდოში (ლეწმის რაიონი) მცხოვრებმა ახალგაზრდა მონადირემ ნ. ლაზვიაშვილმა, სამეფოდან რომ მდინოდა, ახლადნათოვზე დათვის ნაკვალევი შენიშნა. ჯაიფიქრა, ნადირი ბორს არ იქნება წასული, მაშინვე ულან დაბრუნდა და ეს ამბავი მ. ბოთიაშვილსა და ვ. გვრიტაშვილს შეატყობინა. მათაც სანადირო თოფები მოიმარჯვეს და გაჰყვნენ დათვების ნაკვალევს.

ნ. ლაზვიაშვილმა ერთი კლდის ძირას დათვები შენიშნა. მოხერხებულად გადადათვან მიირბინეს, ნიკოლოზი კი დანარჩენ დათვებს დაედევნა და ორი სროლით მძიმედ დასჭრა მეორე დათვიც. ნიკოლოზს ეკონა, მეორე დათვიც მოკვალიო, და ახლოს მივიდა, მაგრამ დაჭრილი მხეცი ღრიალით ეძგერა ნიკოლოზს. მონადირე არ დაიბნა, თოფის ლულა პირში ჩასჩარა და მკერდში სანადირო ხანჯალი ჩასცა.

მამაცმა მონადირეებმა თანასოფლელების მადლობა დაიმსახურეს.

გ. თანდილაშვილი.

კუშკინის სახელოგის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1 და 29 მარტს, 26 აპრილს, 24 მაისს თბილისის, 15 მარტს, 12 აპრილს, 10 მაისს, 7 ივნისს თელავის და წნორის, 22 მარტს, 19 აპრილს, 17 მაისს გორისა და ახალციხის საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა: თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 32), **თელავსა და გორში** — პედაგოგიური ინსტიტუტების შენობებში, **ახალციხეში** — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობაში, **წნორში** — ქართული საშუალო სკოლის შენობაში. კონსულტაციების ცხრილის გაცნობა და მიღება შეიძლება საკონსულტაციო პუნქტებში.

კონსულტაციები დაიწყება — თბილისში 10 საათიდან, საკონსულტაციო პუნქტებში კი 11 საათიდან.

ამავე დღეებში თბილისის პუნქტში ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში გამოცდები მოეწყობა ზამთრისა და ზაფხულის სასესიო საგნებში, ხოლო რაიონების საკონსულტაციო პუნქტებში გამოცდები დაინიშნება სტუდენტების მიერ გამოგზავნილი განცხადებების მიხედვით.

სტუდენტებს შეუძლიათ წერილობითი კონსულტაციებისათვის მიმართონ დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტს.

ის სტუდენტები, რომლებიც ზამთრის სასესიო საგნებს არ ჩააბარებენ პირველ ივნისამდე, დაშვებული არ იქნებიან ზაფხულის საგამოცდო სესიაზე.

შენიშვნა: დასავლეთ საქართველოს რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ სტუდენტებს კონსულტაციები შეუძლიათ მიიღონ ქუთაისის, ზესტაფონისა და ცხაკაის საარაონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, რომლებშიც კონსულტაციები მოეწყობა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების მიერ დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას **ტექნიკუმში** შემსვლელთა ოთხთვიან **მოსამზადებელ კურსებზე (დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებისათვის).**

მოსამზადებელ კურსებზე მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ წარმოება-დაწესებულებებში.

მეცადინეობა იწყრმოებს კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

კურსებზე შემმსელელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ განათლების მოწმობა ან ატესტატი (დედანი) და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე 9-საათიდან 16-საათამდე ტექნიკუმის კანცელარიაში. კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1964 წლის 1 მარტს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. № 8.
ტელეფონი 5-32-42.

თეატრები
21 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის **სახელმწიფო აკადემიური** — ჩრდილოეთის პატარძალი (მე-9 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** დიდი დარბაზი — ვახშმობის წინ (26-ე აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა (მე-20 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ორთეოსი ჯოჯოხეთში ჩადის (მე-10 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — რომეო, ჩემი მეზობელო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩექმებიანი კატა (აბონ. № 6 დილის 10 ს., აბონ. № 36 დღის 5 ს.).

კინო
21 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო, კოსმოსი, კოლხიდა, ნაკადული — **არაბეთის ახალი ფილმების ფესტივალი,** გაზაფხული, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ლუპენი 29, სპარტაკი, კომკავშირელი, ჰაეროვაძის სახელობის კულტურის სახლი, თანამგზავრი — **გაზონებზე სიარული ნებადართულია,** თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **სახლი მწვანეზე,** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლმეურნე — **გულადი იმრონი,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ოფიცერთა სახლი — **მგლების ხროვაში, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — **ომი და მშვიდობა** (I-II სერია), კიროვის სახელობის პარკი — **ყოფნა-არყოფნა,** კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — მშობლიური სისხლი.

ᲩᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ
21 თებერვალი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „